პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 58 (5159) | შაბათი, 12 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

ქვანახშირის მრეწველობის საბრძოლო ამოცანები (მოწინავე).
ციტრუსოვანთა ზოლის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი (1-ლი გვ.).
იაპონელ ხელისუფალთა პროვოკაციული მახინაციები, (1-ლი გვ.)
ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი. — ბრალდებულთა: ბულანოვის, კრიუჩკოვის, კაზაკოვის, პლეტნევისა და მაქსიმოვ-დიკოვსკის დაკითხვა. საექიმო ექსპერტიზის პასუხები სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წამოყენებულ შეკითხვებზე; მოწმე ექიმ მ. ი. ბელოსტოცკის დაკითხვა (მე-2, მე-3 და მე-4 გვ.)
უცხოეთში
შოტანის მთავრობა გადადგა (1-ლი გვ.)
ბლიუმი ადგენს კაბინეტს (1-ლი გვ.)
საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წერილი (1-ლი გვ.)

ქვანახშირის მრეწველობის საბრძოლო ამოცანები

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ გასული სამეურნეო წელი დიდი გარღვევებით დაამთავრა. მან 300 ათასზე მეტი ტონა ქვანახშირი დააკლო სახელმწიფოს. ტყვარჩელის მაღარომ, რომელიც თავისი ტექნიკური შეიარაღებითა და საპროექტო სიმძლავრით მსხვილი და მექანიზებული საწარმოა, შარშანდელი საწარმოო დავალება მხოლოდ 40 პროცენტით შეასრულა.

წლიური საწარმოო გეგმა ვერც ტყიბულის მაღაროებმა შეასრულეს. წინასწარი მონაცემით ტყიბულმა გასულ წელს სოციალისტურ მრეწველობასა და ტრანსპორტს 110 ათასზე მეტი ტონა ქვანახშირი დააკლო.

მართალია, გასული წლის უკანასკნელ კვარტალში და მიმდინარე წლის პირველი 40 დღის განმავლობაში ქვანახშირის მრეწველობის საწარმოო მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ თებერვლის მეორე დეკადაში მდგომარეობა კვლავ გაუარესდა: ტყიბულის მაღაროებში დეკადური გეგმა მხოლოდ 89,5 პროცენტით შესრულდა, ტყვარჩელში კი თებერვლის განმავლობაში ქვანახშირის საშუალო დღიური ამოღება 630 ტონიდან 505 ტონამდე დაეცა.

ქვანახშირის მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა არ შეიძლება ობიექტური მიზეზებით ავხსნათ. ქვანახშირის ამოღების გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო და ახლაც არის ძირითადად არა ელექტროენერგიის ნაკლებობით, არა სუსხიანი ამინდებით და „გარდუვალი გეოლოგიური ფაქტორების“ მოქმედებით, არამედ მაღაროებში და შახტებში შრომისა და წარმოების არამართებული ორგანიზაციით.

ავიღოთ თუნდაც ქვანახშირის მოპოვების მექანიზაციის მეტად აქტუალური საკითხები. გასული წლის სამეურნეო გეგმით ტყვარჩელის მაღაროებში ქვანახშირის მექანიზებულ ამოღებას მთელი მოპოვების 90 პროცენტამდე უნდა მიეღწია. სინამდვილეში ეს დავალება ვერ შესრულდა. მექანიზებული ამოღება ძალიან იშვიათად აღემატებოდა ქვანახშირის საერთო ამოღების 80 პროცენტს, ჩვეულებრივად ის 65—75 პროცენტს შეადგენდა.

იარაღ-მანქანებისა და მექანიზმების არა საკმაო დატვირთვა, მათი სრულიად გაუმართლებელი გაცდენები, ზოგჯერ კი ავარიებიც — აი ის შეუწყნარებელი მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს და იწვევენ ახლაც ქვანახშირის ამოღების მექანიზაციის სამარცხვინო ჩაშლას.

არანაკლებ უარყოფითად მოქმედებდა აგრეთვე შრომის არასწორი ტარიფიკაცია, მუშათა კვალიფიციური კადრების სამუშაო დროის 50 პროცენტით, ზოგჯერ კი მხოლოდ 45 პროცენტით დატვირთვა, ხელფასის გათანაბრება, სტახანოვური მოძრაობის უგულებელყოფა.

გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში საწარმოო გეგმის არათუ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც არ სრულდებოდა. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წელს ქვანახშირის მრეწველობაში ვერ მოხერხდა შრომის ნაყოფიერების აყვანა გეგმით ნავარაუდევ დონემდე, პროდუქციის თვითღირებულებისა და ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირება. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ნაცრიანობის გადიდება, რაც გამოწვეული იყო და არის მოპოვებული ქვანახშირის დახარისხების და გამდიდრების საქმის ცუდი ორგანიზაციით, ტყვარჩელში კი გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლოატაციაში გადაცემის უზომო გაჭიანურებით.

პასუხსაგები და რთული ამოცანები დგას საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წინაშე 1938 წელს. ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროებმა წელს ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას უნდა მიაწოდონ 450 ათასი ტონა ქვანახშირი. ამასთან მათ საგრძნობლად უნდა გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ ქვანახშირის ხარისხი, შეამცირონ მისი თვითღირებულება.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულების წინაპირობაა, უპირველეს ყოვლისა, მავნებლობის შედეგების ბოლშევიკურად ალაგმოფხვრა, რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილება, ტროცკისტ-ბუხარინელი ნაბოლარების დაუნდობლად განადგურება.

საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს საფეხურზე აყვანა და სტახანოვური მოძრაობის ნამდვილად მასობრივ მოძრაობად გადაქცევა.

მაღაროებისა და შახტების დირექტორები, ინჟინერ-ტექნიკოსები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები ზოგიერთგან გატაცებული იყვნენ უფრო ცალკეული საწარმოო რეკორდებით, ხოლო რეკორდსმენებისა და სტახანოველების გამოცდილების გულმოდგინედ შესწავლა და მათი მუშაობის მეთოდების მუშათა ფართო მასაში გადატანა ჯერაც არ ხდება ყველგან. ასეთ „ხელმძღვანელობას“ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ქვანახშირის მოპოვება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებით ხორციელდება (ქვანახშირის ფენების ჩაჭრა, მონგრევა, მადნის აწმენდა და გაცემა, დახარისხება, გარეცხვა და სხვ.)

აუცილებლად საჭიროა ამ რთული ტექნოლოგიურ პროცესების მოწესრიგება, ცალკეული ოპერაციების ერთმანეთთან შეწყობა და მთელი მუშაობის მტკიცედ დაწესებული საოპერაციო გრაფიკებით წარმართვა. მუშაობის ზუსტმა გრაფიკმა უნდა მოიცვას აგრეთვე დამხმარე საწარმოო ოპერაციები, — დამაგრება, ელექტრომეურნეობა, სარემონტო საქმე და სხვ.

მხოლოდ ასეთ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი გახდება საწარმოო აპარატის მაქსიმალური გამოყენება, იარაღ-მანქანებისა და მექანიზმების სრული დატვირთვა და დამთავრებული საწარმოო ციკლების გადიდება.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამთო მოსამზადებელი სამუშაოების ფართოდ გაშლას. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და სახკომსაბჭომ გასული წლის 28 აპრილის დადგენილებით დაჰგმეს სამთო სამუშაოთა კონცენტრაციის ყბადაღებული „თეორია“ და საჭიროდ სცნეს კვერშლაგების, შტრეკებისა და ბრემსბერგების ფართო ქსელის შექმნა. პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროებსაც შეეხება.

წელს აუცილებელია მოსამზადებელი სამთო სამუშაოების ისეთი მასშტაბით ჩატარება, რომელიც უზრუნველჰყოფს არა მარტო მიმდინარე წლის საექსპლოატაციო გეგმის შესრულებას, არამედ ახლო მომავალში მაღაროების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებასაც.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელებმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ მუშაობის მეთოდების ძირეულად გარდაქმნა და დასახული საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ციტრუსოვანთა ზოლის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

ბათუმი, 10 მარტი (საქდესი). 8 მარტს საღამოს მასწავლებელთა სახლში გაიხსნა საქართველოს მიწსახკომის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი. თათბირს დაესწრნენ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ციტრუსოვანთა კულტურების რაიონების რაიმიწგანების გამგეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სტახანოველი მუშები, აგრონომები, ენთომოლოგები, აგროტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის მეცნიერული მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მიწსახკომი ამხ. ხოშტარია, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. მამულოვი, საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. საჯაია, აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ამხანაგი ფუტკარაძე, აჭარის მიწსახკომი — ამხ. ხალვაში და სხვები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომმა — ამხ. ხოშტარიამ.

რესპუბლიკურმა თათბირმა მოისმინა საქართველოს მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს უფროსის ამხ. იაკობაშვილის და პროფესორ გულისაშვილის მოხსენებანი საკითხზე: ქარსაცავი ზოლების გაშენების შესახებ და საქართველოს მიწსახკომის სუბტროპიკულ სამმართველოს ენთომოლოგის ამხანაგ ზელიკოვის და საქართველოს სოფლმომარაგების სამმართველოს უფროსის ამხანაგ იგითხანოვის მოხსენებანი სუბტროპიკულ კულტურათა მავნებლებ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებათა გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ჩიტაიშვილი (აჭარა — გონიოს საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი), კურშუმბაძე (აჭარმიწსახკომის აგრონომი), ყანჩაველი და თევზაძე (საქჩაი), ჭანუყვაძე (მახარაძის რაიმიწგანის აგრონომი), მარგალიტაძე (მახარაძის რაიონი, მერიის კოლმეურნეობის სანერგის გამგე), კალანდაძე და გორდეზიანი (ბათუმი), აბულაძე და ტაბლიაშვილი (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), გეიაშვილი (აჭარა — კარანტინის ინსპექციის უფროსი), ოლიაკოვი (ქიმიური ქარხნის დირექტორი), პატარაია (საქჩაის ინსტიტუტის ენთომოლოგი), დოლიძე (აჭარმიწსახკომის ენთომოლოგი), ჯორბენაძე (შინსახკომის აჭარის მეურნეობის დირექტორი) და სხვები.

9 მარტს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გარშემო, რომლის შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხანაგ ხოშტარიას საბოლოო შემაჯამებელი სიტყვა.

რესპუბლიკურმა თათბირმა ამავე სხდომაზე გამოჰყო კომისია პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

თათბირმა ამით დაამთავრა თავისი მუშაობა.

შოტანის დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 10 მარტი (საქდესი). დეპუტატთა პალატაში პრემიერმა შოტანმა თავის ვრცელ დეკლარაციაში განმარტა მოტივები, რომლის საფუძველზე მოითხოვს მთავრობა განსაკუთრებულ რწმუნებას ფინანსიურ და ეკონომიურ დარგებში. შოტანმა განაცხადა, რომ „მთავრობა არ განიცდის ფინანსიურ სიძნელეებს“ და, რომ „მომხდარი ამბები სრულიადაც არ აიძულებენ მთავრობას გადადგეს“.

შემდეგ შოტანმა ილაპარაკა იმ „უხერხულობაზე, რომლის გამოცდა უხდება მთავრობას დეპუტატთა პალატის წინაშე სხვადასხვა ფინანსიური საკითხების წამოყენების დროს, რაც იწვევს კამათს, რომელიც შეიძლება დაუსრულებლად გრძელდებოდეს და ამით აძნელებდეს მთავრობის მოქმედებას“. „უკეთესი იქნებოდა,—განაცხადა შოტანმა,—„გვემოქმედა მომავალში სპეციალური დეკრეტის მეშვეობით და საშუალება მიგვეცა მთავრობისათვის ემსჯელა ამათუიმ პროექტის დროულობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ახალ ხარჯებთან“. „მთავრობა მიმართავს პალატის უმრავლესობას —განაცხადა შემდეგ შოტანმა,—უკანასკნელი მოწოდებით. თუ ეს მოწოდება უყურადღებოდ დარჩება, მაშინ მთავრობა გააკეთებს საჭირო დასკვნებს“.

აღნიშნა რა არსებული მითითებანი იმის შესახებ, რომ რწმუნებათა გაფართოება არ შეიძლება მიეცეს მთავრობას, რომელიც დაყრდნობილია მეტად ვიწრო ბაზაზე, შოტანმა დასასრულ განაცხადა: „თუ ასეთია ნება პარლამენტისა, თუ სურთ გააფართოონ ეს ბაზა, მაშინ მთავრობა დასთმობს თავის ადგილს“. დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ მთავრობამ დასტოვა დეპუტატთა პალატა. თავმჯდომარე ერიომ განაცხადა, რომ პალატის სხდომა მოწვეული იქნება მაშინ, როდესაც პალატის პრეზიდიუმი ამას საჭიროდ ჩასთვლის.

შოტანის მთავრობა გადადგა

პარიზი, 10 მარტი (საქდესი). შოტანის მთავრობამ რესპუბლიკის პრეზიდენტს აცნობა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ბლიუმი ადგენს ახალ კაბინეტს

პარიზი, 10 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პრეზიდენტმა ლებრენმა ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა ბლიუმს. ელისეის სასახლიდან გამოსვლის შემდეგ ბლიუმმა განაცხადა, რომ „ბოლომდე მიჰყვება მისთვის დაკისრებულ ამ საქმეს და შეეცდება შეადგინოს მტკიცე და ძლიერი მთავრობა, რომელიც შესძლებს დემოკრატიის ძალების გაერთიანებას“.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქდესის ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

დილით 9 მარტს მეამბოხეებმა დაიწყეს შემოტევა, რომელსაც ისინი ამზადებდნენ მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებმა მოახდინეს ტერუელის ევაკუაცია. მეამბოხეთა იერიში წარმოებდა სამი მიმართულებით და მას მხარს უჭერდა ავიაციის ქვემეხების და ტანკების დიდი მასები. მეამბოხეებმა შესძლეს სოფელ ფუენტოდოსის დაკავება. ბილელ ბელ რიოს სექტორში რესპუბლიკელებმა შეაჩერეს მეამბოხეთა შემოტევა მირაბუელოსთან.

ცენტრალური ფრონტი

ლა გრანხას სექტორში მეამბოხეებმა დაიკავეს დელ-რევენტინის გორაკი.

ავიაციის მოქმედება

დილით 9 მარტს ფაშისტურმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ქალაქ რეუსს (ტარაგონის მახლობლად). მოკლულია 20 კაცი და დაჭრილია 25.

შუადღისას ფაშისტურმა თვითმფრინავებმა ჩამოჰყარეს ყუმბარები ტორტოსაზე (ტარაგონის სამხრეთ-დასავლეთით), სადაც მოკლულია 18 და დაჭრილია 150 კაცი. რესპუბლიკურმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა სამხედრო ობიექტებს აღმოსავლეთ ფრონტზე.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 10 მარტი (საქდესი). შანსის პროვინციაში ბრძოლა სწარმოებს დატუნ-პუჯოუს რკინიგზის სამხრეთ უბანში, პუჯოუს პინლუსა და ჩაოის ირგვლივ. გრძელდება ბრძოლა ქალაქ ლინფინთან. ამ დღეებში ჩინეთის ჯარებმა შანსის და შენსის პროვინციების საზღვარზე ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს იაპონელთა რაზმი 300 კაცის შემადგენლობით. ჯერ კიდევ ორ მარტს ჩინელებმა წაართვეს იაპონელებს სამაზრო ქალაქები დანინი და პუსიანი (ლინფინის ჩრდილო-დასავლეთით). ლინშის რაიონში მე-8 ნაციონალურ-რევოლუციური არმიის ნაწილებმა იაპონელებს წაართვეს სოფელი ლიულინჩუნი, სადაც ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი. 50 კილომეტრზე ტაიუანის სამხრეთ-დასავლეთით პარტიზანებმა მოულოდნელად იერიში მიიტანეს ძიაოჩენზე და გაანადგურეს იაპონელთა ორმოცი საბარგო ავტომობილი საჭურველით და სურსათ-სანოვაგით. ტაიუანის ჩრდილოეთით 100 კილომეტრის მანძილზე ჩინელთა რაზმმა იერიში მიიტანა ქალაქ ნინ-უზე. ქუჩებში რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ იაპონიის გარნიზონმა დასტოვა ქალაქი.

8 მარტს იაპონიის 14 თვითმფრინავი თავს დაესხა სიანს (შანსის პროვინციის დედაქალაქი). მოკლული და დაჭრილია 9 კაცი. საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს იაპონიის ავიაგამანადგურებელი და ყუმბარმზიდი. იმავე დღეს ჩინეთის ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა იაპონიის არტილერიას შანსის სამხრეთ ნაწილში. იაპონიის ავიაციის ცდა ხელი შეეშალა თავდასხმისათვის უნაყოფოდ დამთავრდა. საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს იაპონიის 3 თვითმფრინავი. ჩინეთის ესკადრილია მშვიდობიანად დაბრუნდა ბაზაზე.

სუიუანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში დიდი ბრძოლა სწარმოებს ბასტოუს დასავლეთით. შანდუნის პროვინციაში ბრძოლა სწარმოებს იჯოუს გარშემო. გასულ კვირას ჩინელმა პარტიზანებმა იაპონელებს წაართვეს ქალაქი უციაო (შანდუნისა და ხებეის პროვინციების საზღვარზე). იაპონიის ავიაცია განაგრძობს თავდასხმას ბეიპინ-ხანკოუს და ლუნხაის რკინიგზების სადგურებზე. ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში პარტიზანთა დიდი რაზმი მიუახლოვდა ქალაქ ძიუანის მიდამოებს.

ლონდონი, 10 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი სწერს, რომ ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში იაპონიის ჯარებს თავს უყრიან მდინარე ხუანხეს ნაპირთან, სიშუას პირდაპირ მდებარე რაიონში. მთელი რაიონი წყლითაა დაფარული იმის გამო, რომ ჩინელებმა დაანგრიეს ჯებირები. იაპონელები ამტკიცებენ, რომ მათი არტილერიის ზოგიერთი ბატარეა გადავიდა ხუანხეზე. ჩინელთა ცნობებში აღნიშნულია, რომ მდინარეზე გადასული ყველა იაპონელი ან დაიხრჩო, ან ტყვედ ჩაუვარდათ ჩინელებს.

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 10 მარტი (საქდესი). მიუხედავად წვიმებისა, ჩინეთის ჯარებმა 8 მარტს იერიში მიიტანეს იაპონელთა ნაწილებზე, რომელნიც გამაგრებულნი იყვნენ უხუს მთაზე. მოჰკლეს 100-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი. ჩინელებმა მთის შენარჩუნება ვერ შესძლეს, რადგან იაპონელებს მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები მოუვიდათ. ტაიხუს ტბის სამხრეთით ჩინელები განაგრძობენ კონტრშეტევას უკანზე. ბრძოლა სწარმოებს ქალაქის მიდამოებში, სადაც გამაგრებული არიან იაპონელები. უკანსა და ხანჯოუს შორის კავშირი შეწყვეტილია.

შანხაი, 10 მარტი (საქდესი). 8 მარტს ჩინელმა პარტიზანებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა მატარებელზე ხანჯოუს მახლობლად. ჩინეთის არტილერიამ გაანადგურა იაპონელთა ხუთი კატარღა ჯარისკაცებით, რომელნიც ხუჯოუდან არხით მიემართებოდნენ ხანჯოუსაკენ.

უცხოეთის პრესის გამოძახილი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შესახებ

პარიზი, 10 მარტი (საქდესი). ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი განაგრძობს საფრანგეთის საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.

გაზეთების უმრავლესობა ათავსებს ჰავასის სააგენტოს მიერ გადმოცემულ ანგარიშებს პროცესის შესახებ.

„რე პუბლიკ“ მოჰყავს ცნობა შემდეგი სათაურით: „ბრალდებულთა განცხადება და საექიმო ექსპერტიზის მოხსენება ადასტურებენ იმ როლს, რომელსაც ასრულებდა იაგოდა“.

ჟორჟ კონიო „ლუმანიტეში“ სწერს, რომ, სამწუხაროდ, მოსკოვის პროცესის საბრალდებლო სკამზე არ ზის მთავარი ბოროტმოქმედი ტროცკი. „კულტურის ინტერესები, და აგრეთვე თავისუფლების და მშვიდობიანობის ინტერესები მოითხოვენ მკაცრ შურისძიებას ბოროტმოქმედთა მიმართ“,—ამთავრებს კონიო.

კაშენი თავის სტატიაში ხაზს უსვამს, რომ მემარჯვენე-ტროცკისტულ ბანდიტებს არავითარი ფესვები არ ჰქონდათ საბჭოთა ხალხის მასებში, რომელიც უდიდესი ზიზღით უყურებს ამ ბანდას.

პაპანინელების შეხვედრა „ტაიმირისა“ და „მურმანის“ ეკიპაჟთან მოდრეიფე ყინულზე.

(გადაღებულია 1938 წ. 19 თებერვალს) „სოიუზფოტო“

15 მარტს პაპანინელები ჩამოვლენ ლენინგრადში

„ერმაკის“ გემბანი, 10 მარტი (საქდესის სპეცკორი). ფინეთის უბეში წავაწყდით მძიმე ხერგილ ყინულს. იმის გამო, რომ ყინულების ფორსირებისათვის აუცილებელია გვქონდეს ნახშირის დიდი მარაგი, გადავწყვიტეთ შევიაროთ ტალინში ნახშირის მარაგის შესავსებად.

როგორც ამხანაგი ო. ი. შმიდტი ამბობს, ლენინგრადში ვიქნებით არაუადრეს 15 მარტისა.

ახალი განყოფილება არქტიკის მუზეუმში

ლენინგრადი, 9 მარტი (საქდესი). არქტიკის მუზეუმი აწყობს სპეციალურ განყოფილებას, რომელიც მიძღვნილი იქნება მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსისადმი“. ექსპონატთა შორის არის 100-დე ფოტოგრაფია, გადაღებული პოლუსზე ორდენოსანი კინოოპერატორის ამხ. ტროიანოვსკის მიერ, აბრეშუმის კარავი, რომელშიც ცხოვრობდა პოლუსზე საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ალექსეევის თვითმფრინავის „ნ-172“ ეკიპაჟი, ავიასექსტანტი, რომლითაც გამორკვეული იყო თვითმფრინავის ძირდაშვების ადგილი პოლუსთან. ცალკეულ ვიტრინებში ინახება ჩრდილოეთის ექსპედიციის თვითმფრინავთა სურსათის მარაგი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დამზადებული ი. დ. პაპანინის სპეციალური შეკვეთით.

ცენტრალურ ადგილს მუზეუმის ახალ განყოფილებაში დაიკავებს მასალა, დაკავშირებული მეზამთრეთა გმირულ მუშაობასთან „ჩრდილოეთის პოლუსის“ მოდრეიფე სადგურზე.

ექსპონატების ნაწილი უკვე მიღებულია. მუზეუმს გადაეცა 70-მდე ნივთი „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურის ქონებიდან.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანატორიუმი კისლავოდსკში

კისლავოდსკი, 10 მარტი (საქდესი). მთავრობის კომისიამ მიიღო ფრიადი შეფასებით ერთი საუკეთესო ჯანმრთელობის სამკურნალო-კერა კომბინატი — მძიმემრეწველობის სახალხო კომისარიატის სანატორიუმი. მისი მშენებლობა დაიწყო 1935 წლის აპრილში სერგო ორჯონიკიძის მითითებით.

მშენებლობაზე დაიხარჯა 30 მილიონ მანეთზე მეტი. აქ ყოველწლიურად დაისვენებს სამი ათასი კაცი.

სანატორიუმი შესდგება სამი ძირითადი რამოდენიმე დამხმარე კორპუსისაგან, აშენებულია აგრეთვე საოჯახო კორპუსი „ლუქსი“. თვითეულ ნომერს აქვს ცალკე სააბაზანო ოთახი, ტელეფონი და რადიო. არის საცურაო აუზი. სანატორიუმი მომარაგებულია უახლესი სამედიცინო აპარატურით, მშვენივრად მოწყობილი კბილის საექიმო, თვალის საექიმო და გინეკოლოგიური კაბინეტებით. არის აგრეთვე კინო-დარბაზი და ოთახები დასვენებისათვის.

აპრილის დამდეგს სანატორიუმი მიიღებს მძიმემრეწველობის პირველ სტახანოველებს.

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წერილი

პარიზი, 10 მარტი (საქდესი). კომუნისტური პარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს რწმუნებულებმა ჟიტონმა და რამეტმა სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანს და სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილეს გადასცეს შემდეგი წერილი:

„მთავრობის გადადგომის გამო ჩვენ დაჟინებით ვიცავთ უპასუხოდ დატოვებულს ჩვენს გუშინდელ წინადადებას, რომელიც მოითხოვს ორივე პარტიის შემთანხმებელი კომიტეტის დაუყოვნებლივ მოწვევას.

მდგომარეობის განსაკუთრებული სიმწვავის გამო ჩვენმა პარტიებმა ერთად უნდა იმოქმედონ, რათა უზრუნველჰყონ მუშათა კლასისა და დემოკრატიის ძალების დარაზმულობა და განამტკიცონ სახალხო ფრონტის ერთიანობა ხალხის ნებასურვილის შესაბამისად, რაც ასე ნათლად გამოხატა ჩვენმა ქვეყანამ 1936 წლის მაისს და 1937 წლის ოქტომბერს.

ახლანდელი კრიზისის ერთადერთი შესაძლო გადაჭრა იმაში გამოიხატება, რომ შედგენილ იქნას მთავრობა სახალხო ფრონტის მსგავსად, ისეთი მთავრობა, რომელსაც მტკიცედ ექნება გადაწყვეტილი განახორციელოს პირველ რიგში სახალხო ფრონტის პროგრამა და, დასასრულ, მისცეს პენსიები მოხუცებულ მშრომელებს და ოჯახური დახმარება ფრანგ გლეხებს“.

იაპონელ ხელისუფალთა პროვოკაციული მახინაციები

ვლადივოსტოკი, 10 მარტი (საქდესი). აქ მიღებულ ცნობების თანახმად იაპონიის სასამართლომ სამხრეთ სახალინში პირველ მარტს ერთი წლის საკატორღო მუშაობა მიუსაჯა იაპონიის ხელისუფლების მიერ უკანონოდ დაკავებულ საბჭოთა სათევზაო შხუნის—„ვინპელის“ კაპიტანს, რომლის გემი გასული წლის 22 ნოემბერს გაერიყა ქარიშხალს სამხრეთ სახალინის ნაპირთან.

როგორც ვიტყობინებოდით „ვიმპელზე“ იმყოფებოდა 4 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი და ცამეტი მგზავრი, მათ შორის ერთი ქალი ძუძუმწოვარა ორი თვის ბავშვით. იმის მაგიერ, რომ თანახმად საერთაშორისო ჩვეულებებისა, დახმარება გაეწიათ ავარიაში ჩავარდნილთათვის და დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ისინი საბჭოთა კავშირში, იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ცხადია, იაპონიის მთავრობის პირდაპირი დავალებით, დააკავა შხუნა, მისი ეკიპაჟი და მგზავრები, როგორც მძევლები და წინადადება გამოგზავნეს იმ იაპონელებზე მათი გაცვლის შესახებ, რომლებიც დაპატიმრებული არიან საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის, და მათ რიცხვში ჯაშუშობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ კატეგორიულად უარჰყო ეს წინადადება და გადაჭრით განაცხადა პროტესტი იაპონიის ხელისუფლების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვა ჩვენი უდანაშაულო ადამიანების განთავისუფლება, რომლებიც ავარიის მსხვერპლნი გახდნენ.

მაგრამ იაპონიის მთავრობა განაგრძობდა, თითქოს, წარმოებული გამოძიების მიზეზით, ჩვენი მოქალაქეების დაკავებას და უცვლელად იმეორებდა ამასთანავე თავის წინადადებას გაცვლის შესახებ.

ზემოდმოყვანილი ცნობა ააშკარავებს, რომ იაპონიის ხელისუფლებამ გადასწყვიტა თავის უკანონობით აღმაშფოთებელი განაჩენის გამოტანით დააკავოს „ვინპელის“ კაპიტანი მხოლოდდამხოლოდ იმ იმედით, რომ შემდეგში ისინი შესძლებდენ მის გაცვლას იაპონელ ჯაშუშებზე, რომლებიც დაპატიმრებული არიან საბჭოთა კავშირში. ამას მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტიც, რომ დანარჩენი ეკიპაჟი და მგზავრები დაპატიმრებული არიან ამ ხნის განმავლობაში იმ საბაბით, თითქოს მათ მიმართ ჯერ კიდევ სწარმოებდეს გამოძიება. გამოდის ამრიგად, რომ კაპიტანი მსჯავრდადებულია, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება, თუ ასეთი საერთოდ სწარმოებდა, ჯერ დამთავრებული არ არის.

იაპონიის ხელისუფალთა ეს უკანონო მოქმედება იწვევს აქ უდიდეს აღშფოთებას და თანდათან ძლიერდება მოთხოვნა საპასუხო ეფექტიურ ზომების მიღების შესახებ.

აქ ყურადღებას აქცევენ იმასაც, რომ 19 თებერვალს ხაკოდატში, იქ ნახშირისათვის შესული საბჭოთა გემი „კუზნეცსტროი“, რომელზედაც იმყოფებოდა 35 კაცი ეკიპაჟი და 37 მგზავრი, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, აგრეთვე აქნობამდე დაკავებული ჰყავთ სხვადასხვა საბაბით. და ყველა ნიშნებია იმისა, რომ იაპონიის ხელისუფალთ იმედი აქვთ გამოიყენონ ეს აქტიც საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ მათი ჯაშუშებისა და სხვა ბოროტმოქმედთა უკან დასაბრუნებლად.

საქდესის შენიშვნა

როგორც საქდესმა კომპეტენტურ წრეებში გამოარკვია, სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენლობას ტოკიოში დავალებული აქვს განუცხადოს პროტესტი კაპიტანისათვის საკატორღო განაჩენის გამოტანის გაუგონარი ფაქტის წინააღმდეგ, რომელიც დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ მისი გემი გარიყა ქარიშხალმა იაპონიის სანაპიროებთან, და აგრეთვე გემების „ვინპელის“ და „კუზნეცსტროის“, მათი ეკიპაჟისა და მგზავრების დაკავების წინააღმდეგ, რაც აქამდე გრძელდება.

საქდესს დაუდასტურეს აგრეთვე, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მართლაც არაერთგზით მიმართა საბჭოთა მთავრობას წინადადებით „ვინპელის“ ეკიპაჟისა და მგზავრების გაცვლის შესახებ სსრკ-ში ბრალდებულ და პასუხისგებაში მიცემულ ჯაშუშებზე და სხვა ბოროტმოქმედებზე, და რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვეტით უარჰყო ეს წინადადება. როგორც საპასუხო ზომა იაპონიის უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ, შეჩერებულია 8 იაპონელის გაგზავნა იაპონიაში, რომელთაც ამასწინად ციხეში დაპატიმრება შეუცვალეს გადასახლებით.

შოფერების გაფიცვა ლონდონში

ლონდონი, 10 მარტი (საქდესი). ინგლისის ავტოტრანსპორტის მუშების პროფკავშირის აღმასკომმა საბარგო და მსუბუქი ავტომანქანების შოფერთა ყველა ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციას მისცა მითითებანი აცნობონ მეპატრონეებს ავტოტრანსპორტის მუშათა მომავალი გაფიცვის შესახებ, რაც დანიშნულია 26 მარტისათვის.

განზრახული გაფიცვა ეწყობა იმ მიზნით, რომ მხარი დაუჭირონ მოთხოვნებს ავტოტრანსპორტის მუშათა ხელფასის გადიდების და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. გაფიცვა უშუალოდ მოიცავს სულ ცოტა 200 ათას მუშას.

ამავე დროს აღმასკომმა სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიმართა თხოვნით გაფიცვის დროს არ აწარმოონ ავტოტრანსპორტის დატვირთვა და განტვირთვა. აღმასკომმა აგრეთვე რკინიგზელთა პროფკავშირს მიმართა თხოვნით ხელი შეუწყოს ავტოტრანსპორტის მუშათა გაფიცვას.

„კომუნისტის“ მორიგი ნომერი გამოვა 18 მარტს

ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

8 მარტის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ბულანოვის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო ბულანოვ, ადასტურებთ თუ არა თქვენს ჩვენებს, რომელიც წინასწარ გამოძიებაზე მიეცით?

ბულანოვი: დიახ, ვადასტურებ. იმ წლების განმავლობაში, როცა იაგოდასთან პირად მდივნად და სახალხო კომისარიატის მდივნად ვმუშაობდი, მე შევიჩვიე ყოველივესათვის იაგოდას თვალებით მეცქირნა და ბოლოსდაბოლოს იაგოდამ თავის სავსებით ერთგულ ადამიანად გადამაქცია, რომლის შესახებაც მან იცოდა, რომ ეს კაცი მას არ გასცემს. და ამიტომ არც ჩემთან საუბარში, არც ჩემი თანდასწრებით სხვებთან საუბარში არავითარ საიდუმლოებას არ იცავდა, კონსპირაციის არავითარი ელემენტი არ ყოფილა. ამით აიხსნება, რომ მე იმ დანაშაულობათა საქმის კურსში ვიყავი, რომლებიც მე მისგან ვიცი.

შეთქმულობის შესახებ იაგოდასაგან პირველად 1934 წელს გავიგონე. იაგოდას ცალკეული საუბრებით თანდათან შევყავდი კონტრრევოლუციური მუშაობის კურსში. მე, პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი, ყველაფერში ბრმად ვენდობოდი მას.

იაგოდამ როგორღაც საუბარში მითხრა, რომ ისინი, ესე-იგი ის და მის ზურგს უკან მდგომი მემარჯვენეები, ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან გაერთიანდნენ, რომ ნორმალური გზით, პარტიაში ლეგალური ბრძოლის გზით სრულიად შეუძლებელია რაიმე წარმატების იმედი იქონიონ, რომ ხელისუფლების მისაღწევად მათს განკარგულებაში დარჩენილია ერთადერთი საშუალება — ეს არის ძალდატანებითი მეთოდი უშუალო შეიარაღებული გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა.

გადატრიალებაში ერთერთი მთავარი როლი, მისი სიტყვით, უნდა შეესრულებინა ენუქიძეს და მეორე, შეიძლება ითქვას არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი, მისი სიტყვით, ეკისრებოდა მას, იაგოდას. მათ ჰქონდათ გავლენის სფერო, ენუქიძეს — კრემლი, იაგოდას — შინსახკომის აპარატი. თვითონ იაგოდა ამ დროს არაერთხელ ოცნებობდა, რომ თუ გადატრიალება წარმატებით დამთავრდება, მომავალ სახკომსაბჭოში ის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო.

ვიშინსკი: სახკომსაბჭოს თავმჯდომარე?

ბულანოვი: დიახ. პარტიული მუშაობა, მისი სიტყვით, ეკისრებოდა ტომსკის, ბუხარინს და რიკოვს. ამასთან ტომსკი, მათი ვარაუდითა და ანგარიშით, ისევე, როგორც იყო, პროფკავშირების ხელმძღვანელად უნდა დარჩენილიყო. ც. კ-ის მდივნებად უნდა ყოფილიყვნენ რიკოვი და ბუხარინი, ამასთან იაგოდა ხაზს უსვამდა, როცა მე სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გავხდები, ც. კ-ის მდივნების როლი ჩემს დროს სულ სხვანაირი იქნებაო. თუ, სახელდობრ, როგორი, ამის ახსნა გამიჭირდება. ამასთან დაკავშირებით მე მაგონდება პარალელი, რომელიც იაგოდას გაჰყავდა ც. კ-ის მომავალ მდივან ბუხარინსა და გებელსს შორის. უნდა ვთქვა, რომ იაგოდა საერთოდ ძალიან გატაცებული იყო ჰიტლერით.

ის ლაპარაკობდა, ბუხარინი გებელსზე ნაკლები არ მეყოლებაო. აზრი ის იყო, რომ ბუხარინი მის ხელში ტიკინა იქნება და გააკეთებს ყოველივეს, რაც მას, იაგოდას ნებავს.

შეიარაღებულ გადატრიალებას, იაგოდას სიტყვით, ისინი აუცილებლად ომს უფარდებდნენ. მე როგორღაც გაკვირვებით შევეკითხე იაგოდას: სიმართლე რომ ითქვას, არ მესმის—ომი, უშუალო საშიშროება, დაძაბული მდგომარეობა და ამავე დროს მთავრობის შერყევა— ასე ფრონტზე საქმეები შეიძლება მეტისმეტად აიშალოს—მეთქი. იაგოდამ ამაზე პირდაპირ მითხრა, გულუბრყვილო კაცი ხარ, თუ ფიქრობ, რომ ჩვენ, დიდი პოლიტიკოსები, ისე მოვახდენთ გადატრიალებას, რომ არ შევუთანხმდით სსრ კავშირის შესაძლო და გარდუვალ მოწინააღმდეგეებს ომშიო. მოწინააღმდეგეებად დასახელებული იყვნენ გერმანელები და იაპონელები. ის პირდაპირ ამბობდა, ჩვენ პირდაპირი შეთანხმება გვაქვს, რომ თუ გადატრიალებას წარმატება ხვდა, ახალ მთავრობას, რომელიც შედგენილი იქნება, სცნობენ და საომარი მოქმედება შესწყდებაო.

ვიშინსკი: რა პირობებით?

ბულანოვი: მეშინია, რომ ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ხსოვნაში დამრჩა კონცესიები და დათმობანი.

ვიშინსკი: იცით თუ არა თქვენ, რომ იაგოდა, როგორც მემარჯვენეთა ცენტრის წევრი, დაკავშირებული იყო ტროცკისტებთან?

ბულანოვი: სავსებით აშკარაა, რომ იაგოდა უაღრესად მჭიდრო კავშირში იყო მემარჯვენეთა ლიდერებთან. ის დაკავშირებული იყო ტროცკისტებთანაც. ამას მე იმიტომ ვამბობ, რომ არაერთხელ ვიყავი მოწმე მისი უშუალო დავალებებისა ოპერატიული ხაზით, რასაც ის აძლევდა ამა თუ იმ სახით სათანადო პირებს, რომლებიც მუშაობის განსაზღვრულ ნაწილს განაგებდნენ, აძლევდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მითითებებს, რომ ტროცკისტთა საქმეების გამოძიება კი არ გაეშალათ, არამედ, პირიქით, შეეჩერებინათ მთელი რიგი საქმეები ტროცკისტებისაც, მემარჯვენეებისაც, ზინოვიეველებისაც.

ეს რომ ლიტონ სიტყვად არ ჩამომართვათ, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. მაგალითად, იაგოდამ მისცა მითითება, რომ უგლანოვი თავის ჩვენებებში ამა და ამ ჩარჩოებს არ გასცილებოდა.

ვიშინსკი: ხომ არ მოგაგონდებათ ერთერთი წინანდელი პროცესის ბოროტი ფიგურა, დრეიცერის ფიგურა? რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან იაგოდას?

ბულანოვი: მახსოვს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განყოფილების სათანადო უფროსს სრულიად კონკრეტული ზუსტი ცნობები ჰქონდა დრეიცერის ხანგრძლივ ტროცკისტულ საქმიანობაზე, დრეიცერი დაპატიმრებული არ ყოფილა.

ვიშინსკი: იცოდა თუ არა იაგოდამ დრეიცერის შეთქმულობის საქმიანობის შესახებ და ჰფარავდა მას?

ბულანოვი: სავსებით ზუსტად.

ვიშინსკი: ხომ არ გახსოვთ ერთერთი წინანდელი პროცესის მეორე ფიგურა, არანაკლებ ბოროტი ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვის ფიგურა. ხომ არ იცით, იყო თუ არა იაგოდა მასთან დაკავშირებული და ხელს ხომ არ აფარებდა მას?

ბულანოვი: სმირნოვის შესახები ფაქტებიდან მე ზუსტად ვიცი, რომ, როცა სმირნოვი საპყრობილეში იყო, იაგოდამ მოლჩანოვი გაგზავნა და მისი საშუალებით მისცა მითითება სმირნოვს, თუ რა ფარგლებში უნდა ელაპარაკნა აუცილებლობის შემთხვევაში, როცა მას ამათუიმ ჩვენებას მოსთხოვდნენ. ეს სავსებით ზუსტად მახსოვს.

ვიშინსკი: ხომ არ იცით თქვენ, რა ჰქნა იაგოდამ, როცა სმირნოვი ამ საპყრობილიდან მოსკოვში გადმოიყვანეს?

ბულანოვი: მე ვიცი, რომ იაგოდამ თავისი ჩვეულებრივი წესი დაარღვია. ჩვეულებრივ, ის საპყრობილეში არ დადიოდა, სმირნოვის ჩამოყვანის შემდეგ კი დადიოდა მასთან.

ვიშინსკი: რას აკეთებდა იქ?

ბულანოვი: მე გავიგონე მისი საუბარი მოლჩანოვთან იმის შესახებ, რომ სასამართლოში სმირნოვის ქცევისათვის ის, იაგოდა, გულდამშვიდებულია.

ვიშინსკი: მაშასადამე, მან ის დაამუშავა. როგორი იყო იაგოდას დამოკიდებულება კამენევისადმი სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობის შესახებ?

ბულანოვი: როცა გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება კამენევისა და ზინოვიევის დაპატიმრების შესახებ, იაგოდამ კამენევის დასაპატიმრებლად მე გამგზავნა.

ვიშინსკი: ვისთან ერთად გაგზავნათ?

ბულანოვი: მე ვიყავი პაუკერთან ერთად.

ვიშინსკი: ვინ არის პაუკერი?

ბულანოვი: ოპერატიული განყოფილების უფროსი.

ვიშინსკი: და ამასთან ერთად ვინ არის ის?

ბულანოვი: კაცი, რომელიც სავსებით იყო გაცნობილი შეთქმულთა საქმეებს, და ერთერთი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც ენუქიძესთან დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა.

ვიშინსკი: გერმანელი მზვერავი ხომ არ იყო პაუკერი?

ბულანოვი: შემდეგ შევიტყე, რომ ის ჯაშუში იყო.

ვიშინსკი: ბრალდებულო იაგოდა, იცოდით თუ არა, რომ პაუკერი გერმანელი ჯაშუში იყო?

იაგოდა: დიახ, ვიცოდი.

ვიშინსკი: დაჯექით. მაშასადამე, პაუკერი და თქვენ, ბულანოვ, გაგზავნილი იყავით იაგოდას მიერ კამენევის დასაპატიმრებლად. ზინოვიევი ვიღას უნდა დაეპატიმრებინა?

ბულანოვი: ჩემის აზრით, მოლჩანოვსა და ვოლოვიჩს.

ვიშინსკი: ვინ არის მოლჩანოვი?

ბულანოვი: შინსახკომის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი და ორგანიზაციის წევრი.

ვიშინსკი: რომელი ორგანიზაციისა? მემარჯვენეთა არალეგალური ორგანიზაციისა?

ბულანოვი: დიახ.

ვიშინსკი: ვოლოვიჩი?

ბულანოვი: ვოლოვიჩი — ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილე იყო,—ცნობილია რომ ის გარეული იყო ჯაშუშობაში.

ვიშინსკი: ადასტურებთ თუ არა თქვენ, იაგოდა, რომ ვოლოვიჩიც გერმანელი ჯაშუში იყო?

იაგოდა: დიახ. ვადასტურებ.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბულანოვ, რა ინსტრუქციები მოგცათ იაგოდამ კამენევისა და ზინოვიევის დაპატიმრების შესახებ?

ბულანოვი: ინსტრუქცია უბრალო იყო: მოიყვანე, ნუ გაჩხრეკავო. ასეც მოვიქეცი.

ვიშინსკი: იცით თუ არა თქვენ, სად ინახებოდა რიკოვის საიდუმლო არქივი?

ბულანოვი: იაგოდასთან.

ვიშინსკი: შეთქმულთა არქივი?

ბულანოვი: ეს რომ შეთქმულთა არქივი არ ყოფილიყო, რიკოვი, ალბათ, ასეთ საიმედო ადგილს არ მონახავდა.

ვიშინსკი: ყველაზე საიმედო ადგილს მათი არქივისათვის!

ბულანოვი: გადავდივარ ნ. ი. ეჟოვის სიცოცხლის ხელყოფაზე. როგორც იაგოდამ მითხრა, გადაწყვეტილება ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის მოკვლის შესახებ მისი, ე. ი. ცენტრის, მიერ მიღებულ იქნა მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური მიზნით. ეს იყო ერთერთი ეტაპი ან ერთერთი ღონისძიება მათი, როგორც შეთქმულობის მონაწილეების, ჩავარდნისაგან უზრუნველსაყოფად და, მაშასადამე, თვით შეთქმულობის განხორციელების შესაძლებლობის შესანარჩუნებლადაც. მიზეზი, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია, ის იყო, რომ მაშინვე, ან უფრო სწორედ, კიროვის მკვლელობის შემდეგ, ეჟოვი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დავალებით თვალყურს ადევნებდა გამოძიებას. და მე პირადად იაგოდასაგან ვიცი, რომ მალე სულ უფროდაუფრო მზარდი ტემპით მწვავდებოდა იაგოდას მეტისმეტი შეშფოთება ნ. ი. ეჟოვის ამ მუშაობის გამო. იაგოდა ხაზს უსვამდა, რომ ეჟოვი, როგორც ის ამბობდა, უაღრესად სწრაფად ერკვევა და ეცნობა სახელმწიფო უშიშროების მმართველობის მუშაობის ყველა თავისებურებას და რომ აბსოლუტურად არავითარი რწმენა არ არის, რომ ის, ბოლოსდაბოლოს, პირდაპირ არ გახსნის საქმის ნამდვილ მდგომარეობას, არ გახსნის შეთქმულობას. იაგოდამ,—მე ეს ვიცი ისევ მისი საუბრიდან ოპერატიულ განყოფილებათა მთელ რიგ უფროსებთან და ამავე დროს შეთქმულთა ორგანიზაციის წევრებთან,—გამოიყენა ყოველივე, რათა ნ. ი. ეჟოვისათვის გზაკვალი აებნია.

ყველაფერი კეთდებოდა, რათა გაეძნელებინათ ეჟოვის მუშაობა. და მაინც 1936 წლის პირველი მესამედის დასაწყისისათვის იაგოდამ პირდაპირ სთქვა, რომ მას არა მარტო არა აქვს რაიმე რწმენა, რაიმე გარანტია, რომ ეჟოვი არ გამოჩხრეკს საქმის ნამდვილ ვითარებას, არამედ, პირიქით, იგი ახლა უკვე დარწმუნებულია, რომ ეჟოვი იმდენად სწორ გზას ადგია, რომ საჭიროა რაღაც გადამწყვეტი ზომები რეალურად მოახლოებული საშიშროების ლოკალიზებისათვის.

1937 წლის პირველ ნახევარში მე პირველად გავიგე, რომ თავის დროზე იაგოდამ იცოდა, თუ როგორ იყო მოწყობილი კიროვის მკვლელობა. იაგოდამ მეტად გაჯავრებულმა წამოისროლა ასეთი ფრაზა: „როგორც ჩანს, ეჟოვი ლენინგრადის საქმესაც გამოჩხრეკს". მერმე უცბად თავი შეიკავა, თუმცა ჩვეულებრივ იგი არაფერს მიმალავდა, გამაფრთხილა ამ ცნობის განსაკუთრებული კონსპირაციულობის შესახებ, რომელსაც გადმომცემდა, ზედმეტჯერ—ოცჯერ თუ ორმოცჯერ შემპირდა, რომ „თავს მომაგლეჯავს", თუ რამე მოხდება, და მითხრა, რომ მან იცოდა, რომ მზადდებოდა კიროვის ხელყოფა, რომ ლენინგრადში მას ერთგული კაცი ჰყავდა, რომელსაც ყოველივე განდობილი ჰქონდა— შინსახკომის სამმართველოს უფროსის მოადგილე ლენინგრადის ოლქში ზაპოროჟეცი—და რომ მან ისე მოაწყო საქმე, რომ ნიკოლაევის მიერ კიროვის მოკვლა გაადვილებული იყო, რომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს ზაპოროჟეცის მხრივ აშკარა წაყრუებით და, მაშასადამე, ხელშეწყობითაც მოხდა. მე მახსოვს, რომ იაგოდამ, რომელიც სხვათა შორის ლანძღავდა ზაპოროჟეცს იმისათვის, რომ მან ვერ გამოიჩინა მაინცდამაინც დიდი თაოსნობა, გაკვრით მითხრა: თითქოს ჩავარდნის შემთხვევა იყო, როდესაც კიროვის მკვლელობის რამდენიმე დღით ადრე დაცვამ შეცდომით დააპატიმრა ნიკოლაევი და მას პორტფელში უბის წიგნაკი და რევოლვერი უპოვეს, მაგრამ ზაპოროჟეცმა დროზე გაანთავისუფლა იგი. შემდეგ იაგოდამ მიამბო, რომ შინსახკომის ლენინგრადის სამმართველოს თანამშრომელი ბორისოვი იყო კიროვის მკვლელობის მონაწილე. როცა მთავრობის წევრები ჩაიდნენ ლენინგრადში და გამოიძახეს სმოლნიში ეს ბორისოვი, რათა დაეკითხათ იგი როგორც კიროვის მკვლელობის მოწმე,—ზაპოროჟეცმა, შეშფოთდა რა ამით და ეშინოდა რა, რომ ბორისოვი გასცემდა მათ, ვინც ნიკოლაევის ზურგს უკან იდგნენ,—გადასწყვიტა ბორისოვის მოკვლა. იაგოდას მითითებით, ზაპოროჟეცმა ისე მოაწყო, რომ მანქანა, რომელსაც ბორისოვი სმოლნიში მიჰყავდა, ავარიაში მოხვდა. ბორისოვი ამ ავარიის დროს მოჰკლეს და ამგვარად მათ თავიდან მოიშორეს საშიში მოწმე.

ჩავარდნის საშიშროება იმდენად აშკარა იყო მათთვის და რეალური, რომ იაგოდამ გადასწყვიტა დასდგომოდა უფრო გადამწყვეტ მოქმედებათა გზას, უბრალოდ, რომ ვსთქვათ, მან გადასწყვიტა ნ. ი. ეჟოვის მოკვლა. იაგოდას ნათქვამიდან მე ვიცი, რომ 1936 წლის ზაფხულში მან მიანდო სხვა პირს, რომელთა საქმე ამჟამად არ ირჩევა, იმ ბინის მოწამვლა, რომელშიაც ეჟოვი სცხოვრობდა.

როცა იაგოდა შინაგან საქმეთა სახკომის თანამდებობიდან მოხსნეს, მან ხელი მოჰკიდა უკვე კაბინეტისა და ოთახების იმ ნაწილის აშკარა მოწამვლას, რომლებიც კაბინეტის გვერდით იყო შინსახკომის შენობაში, იქ სადაც უნდა მჯდარიყო ნ. ი. ეჟოვი. მან პირადად მე მომცა აშკარა განკარგულება მომემზადებინა შხამი, სახელდობრ—ამელო ვერცხლის წყალი და გამეკეთებინა მისი და მჟავას ხსნარი. ეს იყო 1936 წლის 28 სექტემბერს. იაგოდას ეს დავალება მე შევასრულე, ხსნარი გავაკეთე. ის კაბინეტი, სადაც უნდა ემუშავნა ეჟოვს, და მის გვერდით მოთავსებული ოთახები, საფენი ხალიჩები, ნოხები და ფარდები მოსხურებულ იქნა სავოლაინენის მიერ ჩემი და იაგოდას თანდასწრებით. ეს იყო 29 სექტემბერს. იაგოდამ მითხრა, რომ ეს მოსხურება 5-6-7-ჯერ უნდა მოხდეს, რაც შესრულებულ იქნა. მე ორჯერ თუ სამჯერ მოვამზადე ამ ხსნარის დიდი ფლაკონები და გადავეცი სავოლაინენს. იგი პულვერიზატორით ასხურებდა. მახსოვს, ეს იყო ლითონის დიდი ბალონი დიდი ბუშტით.

უნდა დავსძინო აგრეთვე, რომ 28 სექტემბერს, როცა ეს საუბარი გვქონდა, იაგოდამ თავისი პატარა კარადიდან, სადაც მას მრავალი რაღაც ნივთი, კერძოდ პატარა შუშები, ჰქონდა, გამოიღო და მომცა ორი ამპულა, გარეგნულად არა რუსული წარმოშობისა, და ამასთან მითხრა: ეს შხამია, რომელიც ვერცხლის წყლის ხსნართან ერთად უნდა მოასხუროთ. მე ეს გადავეცი სავოლაინენს და იმანაც ვერცხლის წყლის ხსნართან ერთად მოასხურა.

ვიშინსკი: გვითხარით ერთი, იაგოდას საერთოდ აინტერესებდა შხამები?

ბულანოვი: განსაკუთრებით.

ვიშინსკი: რით გამოიხატებოდა ეს განსაკუთრებული ინტერესი შხამებისადმი?

ბულანოვი: ასეთ დაინტერესებას იგი დაახლოებით 1934 წლიდან იჩენდა.

ვიშინსკი: ეს ინტერესი შხამებისადმი დაკავშირებული იყო თუ არა მის შეთქმულობით მოქმედებათა და გეგმებთან?

ბულანოვი: სავსებით გარკვეულად. აზრი ისეთი იყო, რომ ყველა საშუალება კარგია და საშუალებათა გამოყენებაში არაფერს არ უნდა მოვერიდოთ.

ვიშინსკი: და რომ გადატრიალების დროს შხამმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს?

ბულანოვი: მან სთქვა კიდეც, როგორც მახსოვს,—„გადამწყვეტი".

ვიშინსკი: გარდა მოწამვლის ავაზაკური მომზადებისა, რაც მიმართული იყო ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის წინააღმდეგ, თქვენ იცით კიდევ რაიმე ასეთივე ბოროტმოქმედება, ჩადენილი იაგოდასა და თქვენს მიერ ან მხოლოდ იაგოდას მიერ?

ბულანოვი: დიახ, მე სავსებით ზუსტად ვიცი მენჟინსკის, ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისა და მაქსიმ ალექსის-ძე პეშკოვის მოკვლის შესახებ.

ვიშინსკი: მოკლეთ გვიამბეთ ამ შემთხვევების შესახებ.

ბულანოვი: ა. მ. გორკის მკვლელობა იაგოდამ მოაწყო, როგორც ერთერთი რეალური ღონისძიება წარმატების პირობათა შესაქმნელად იმ შემთხვევისათვის, თუ მოახერხებდნენ გადატრიალების მოხდენას. იაგოდა ამბობდა, რომ როცა მემარჯვენეები დარწმუნდნენ, რომ ალექსი მაქსიმეს-ძე არა თუ მთლიანად და სავსებით იზიარებდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, არამედ თითონაც ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში მისთვის დამახასიათებელი ენტუზიაზმით, ისინი ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გადატრიალების წარმატების შემთხვევაში ალექსი მაქსიმეს-ძე აშკარად აღიმაღლებს ხმას მათ წინააღმდეგ, ხოლო იმ ავტორიტეტის გამო, რომელიც გორკის ჰქონდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ყველა ფენაში, და მასთან ერთად საზღვარგარეთ კულტურულად მოაზროვნე ადამიანების წინაშე მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ გორკის ეს ჯანყი— როგორც იაგოდა ამბობდა — განსაკუთრებული იქნებოდა თავისი შედეგებით. ამიტომ მათ გადასწყვიტეს დროზე მოეშორებინათ თავიდან გორკი.

იაგოდას ნათქვამიდან მე ვიცი, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ ექიმი ლევინი, პროფესორი პლეტნევი და გორკის მდივანი კრიუჩკოვი. პირადად მე რამდენჯერმე გავიგონე, როგორ აძლევდა იაგოდა კრიუჩკოვს ინსტრუქციებს იმის შესახებ, რომ იგი უნდა შეეცადოს გააციოს ალექსი მაქსიმეს-ძე.

ვიშინსკი: მენჟინსკის მოკვლა ვიღასი პირდაპირი მითითებით მოხდა?

ბულანოვი: იაგოდას მითითებით. ამასთან უნდა ვთქვა, რომ, თუ გორკის მკვლელობაში, როგორც იგი ამბობდა, მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური მოტივები იყო, აქ მე მისგან უკვე პირადი ხასიათის მოტივების შესახებ გამიგონია.

ვიშინსკი: ესე იგი?

ბულანოვი: იმ ადამიანის პირადი მოტივების შესახებ, რომელსაც სურს ყველა საშუალებით, ყოველგვარი გზით გაიკეთოს კარიერა, ე. ი. დაიჩქაროს ადგილის განთავისუფლება, სავაკანსიო გახადოს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის პოსტი, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ასეთ მდგომარეობაში იგი, იაგოდა ერთადერთი კანდიდატია თავმჯდომარის პოსტზე.

ვიშინსკი: ეს თქვენი ანალიზია?

ბულანოვი: რასაკვირველია, აქ პოლიტიკურ მოტივებსაც ეკუთვნოდა როლი. მემარჯვენეთა ცენტრისთვის, საერთოდ შეთქმულთათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დამსჯელი ორგანოს სათავეში ჰყოლოდათ თავისი კაცი, ერთერთი თავისი ლიდერი, ე. ი. შეექმნათ ყოველგვარი კვალის დაფარვის გარანტია, თითქმის სრული შესაძლებლობა.

1933 წელს მან მე პირდაპირ მითხრა, რომ გადასწყვიტა დააჩქაროს, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვათ, მოსპოს მენჟინსკი, რომ მან ამ საქმისთვის მოამზადა ექიმი ლევინი, მაგრამ ლევინს რაღაც არ გამოუვიდა და შემდეგ მე მისგან ზუსტად ვიცი, რომ მან პირდაპირ შემსრულებლად ექიმი კაზაკოვი გადაიბირა.

ვიშინსკი: ბრალდებულო იაგოდა. თქვენ მოისმინეთ ბულანოვის ჩვენება მენჟინსკის მოწამვლის შესახებ?

იაგოდა: დიახ, მოვისმინე.

ვიშინსკი: ამ ჩვენებათა შემდეგ, რომლებშიაც ირკვევა თქვენი მონაწილეობა მოწამვლაში, თქვენ განაგრძობთ ამ მონაწილეობის უარყოფას?

იაგოდა: არა, მე ვადასტურებ ჩემს მონაწილეობას.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბულანოვ, მაქსიმე პეშკოვის მოკვლაც იაგოდას მიერ არის მოწყობილი?

ბულანოვი: რასაკვირველია.

ვიშინსკი: ბრალდებულო იაგოდა, რას იტყვით ამის შესახებ?

იაგოდა: აღვიარებ რა ჩემს მონაწილეობას პეშკოვის დაავადებაში, მე ვშუამდგომლობ სასამართლოს წინაშე, რომ მთელი ეს საკითხი გადაიტანოს დახურულ სხდომაზე.

ვიშინსკი: მე წინააღმდეგი არა ვარ.

ბრალდებულო ბულანოვ, აი თქვენ აქ დაგვიხატეთ იმ მთელ რიგ ბოროტმოქმედებათა საზარელი სურათი, რომლებიც თქვენ ჩაიდინეთ იაგოდას ხელმძღვანელობით. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელებიდან კიდევ ვინ იღებდა მონაწილეობას ამ ბოროტმოქმედებებში, თქვენი ცნობით?

ბულანოვი: იაგოდამ მე პირდაპირ მითხრა, რომ გადაწყვეტილება ეჟოვის მოწამვლისა და გორკის მოკვლის შესახებ მიიღეს რიკოვმა, ბუხარინმა...

ვიშინსკი: და ენუქიძემ?

ბულანოვი: და ენუქიძემ, თავისთავად ცხადია.

ვიშინსკი: ერთი სიტყვით, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მეთაურებმა?

ბულანოვი: თავისთავად გასაგებია.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, იცით თუ არა თქვენ, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს" მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ფიზიკურად მოსპობის შესახებ?

რიკოვი: არა.

ვიშინსკი: მაშ რა იცოდით თქვენ ამის შესახებ?

რიკოვი: ენუქიძემ მაცნობა, რომ ტროცკისტები და ზინოვიეველები მეტად შეშფოთებული არიან იმ გავლენით, რომელსაც ჰპოულობს გორკი, რომ იგი სტალინისა და პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე მომხრეა. ამიტომ, როგორც მან გამოსთქვა, ისინი აუცილებლად სთვლიან გორკის ასეთი მნიშვნელობის გამო, მისი მნიშვნელობა კი საზღვარგარეთაც და ჩვენშიაც არ საჭიროებდა დადასტურებას, — ისინი დაჟინებით მოითხოვენ, როგორც მან გამოსთქვა, მისი პოლიტიკური აქტიურობის ლიკვიდაციას.

ვიშინსკი: მაშასადამე ენუქიძე ლაპარაკობდა გორკის პოლიტიკური აქტიურობის ლიკვიდაციაზე?

რიკოვი: დიახ.

ვიშინსკი: რაგვარად და რა აზრით?

რიკოვი: იგი ლაპარაკობდა იმდენად აწეული კილოთი და მკვახე მტრული გამოთქმებით, რომ ჩემთვის ნათელი იყო (რადგან ლაპარაკი იყო, უმთავრესად, ტროცკისტულ-ზინოვიევური ნაწილის მხრივ), რომ ამ კილოში იმალებოდა ძალმომრეობითი ზომების გამოყენების შესაძლებლობაც.

ვიშინსკი: რა არის ძალმომრეობით ზომებამდე მიყვანა? შეიძლება ეგ გავიგოთ — მკვლელობამდეც?

რიკოვი: რასაკვირველია.

ვიშინსკი: მე მაქვს შეკითხვა ბულანოვთან. იცით თუ არა თქვენ ასეთი შემთხვევები, რომ იაგოდას გადაეგზავნოს ფული ტროცკისათვის.

ბულანოვი: იმის შესახებ, რომ იაგოდა ამარაგებს ფულით ტროცკის, მე ერთბაშად არ შემიტყვია იაგოდასაგან. 1934 წელს იაგოდამ გამომიძახა და მითხრა, რომ ჩემთან მოვა ერთი კაცი, რომელსაც მე უნდა მივცე 20 ათასი დოლარი.

ვიშინსკი: 20 ათასი დოლარი? რისთვის და ვისთვის?

ბულანოვი: მე არასოდეს არ ვეკითხებოდი იაგოდას, რისთვის და ვისთვის. მე იმ კაცს ფული მივეცი. მეორე დღეს, როცა მე მოვახსენე იმის შესახებ, რომ ეს განკარგულება შესრულებულია, მაშინ იაგოდამ მითხრა, რომ ამ კაცისათვის კვლავ მოგიხდება თანხების მიცემა რა რაოდენობითაც ის თითონ იტყვისო. და მან, სხვათაშორის სთქვა, რომ ეს კაცი არის მისი პირდაპირი კავშირი ტროცკისთან, რომ ტროცკი უკანასკნელ დროს განიცდის დიდ ხელმოკლეობას ფულის მხრივ და ის თანხები, რომელიც მე მივეცი და მომავალში მივცემ, უშუალოდ ტროცკისათვის მიდის. მართლაც, ეს კაცი 1934—1936 წლების განმავლობაში მოვიდა ოთხჯერ თუ ხუთჯერ და მე ყოველთვის ვაძლევდი ფულს, რასაკვირველია, ვიღებდი რა იაგოდასაგან განკარგულებას გაცემის შესახებ.

ბრალდებულ კრიუჩკოვის დაკითხვა

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო კრიუჩკოვ, რამდენადაც თქვენ დაადასტურეთ უკვე თქვენი ჩვენებანი, მოცემული თქვენ მიერ წინასწარ გამოძიებაზე, გვიამბეთ მოკლეთ თქვენს დანაშაულობათა შესახებ.

კრიუჩკოვი: ჩემი ჩვენებანი მე დავადასტურე სავსებით. მე მოღალატურად მოვკალი მაქსიმ გორკი და მისი შვილი—მაქსიმ პეშკოვი. ორივე მკვლელობა მე ჩავიდინე იაგოდას მითითებით და მისი მუქარის გავლენით.

მაძლევდა რა დავალებას მაქსიმე პეშკოვის მკვლელობის შესახებ, იაგოდამ მაცნობა განზრახული სახელმწიფო გადატრიალებისა და მასში თავისი მონაწილეობის შესახებ. მივიღე რა ეს დავალება, მე გავხდი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილე.

მე არ შემიძლია დავუმალო სასამართლოს, როგორც ამას უკვე ვუჩვენებდი წინასწარ გამოძიებაზე, რომ ჩემი პირადი ინტერესები ემთხვეოდნენ, ეხლართებოდნენ ამ ბოროტმოქმედების პოლიტიკურ სარჩულს. მაქსიმე პეშკოვის სიკვდილით მე პირადად ვიყავი დაინტერესებული. მე ვფიქრობდი, რომ მაქსიმე პეშკოვის სიკვდილის შემდეგ დავრჩებოდი გორკის ერთადერთი ახლობელი კაცი, რომლის ხელშიც გადავიდოდა გორკის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც შემდეგში სახსრებსა და დამოუკიდებელ მდგომარეობას შემიქმნიდა.

იაგოდას მე გავეცანი 1928 წელს. უფრო მეტი ახლო ურთიერთობა 1931 წ. დამყარდა. 1932 წ. ჩვენ ვიწყეთ უფრო ხშირად შეხვედრა ერთმანეთთან. იაგოდა ხშირად მესაუბრებოდა, ვლაპარაკობდით ალექსი მაქსიმეს-ძეზე.

იაგოდა არკვევდა ჩემს პოლიტიკურ განწყობილებას. მე არა მქონდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ძალების რწმენა, არა მქონდა ქვეყნის კოლექტივიზაციის რწმენა.

1932 წელს ჩემთან საუბარში იაგოდა ხშირად მაინიშნებდა, ვიცი, რომ საკმაოდ ფართოდ ცხოვრობ და დიდძალ სახსრებს ხარჯავო.

ვიშინსკი: საიდან გქონდათ თქვენ ეს სახსრები?

კრიუჩკოვი: მე, ვსარგებლობდი რა გორკის სრული ნდობით, მის დიდძალ ფულს ვფლანგავდი. და აი ამან ჩამაყენა იაგოდას წინაშე ერთგვარ დამოკიდებულებაში. მეშინოდა იმისა, რომ მან იცის — მე ფულს ვფლანგავ და სისხლის სამართლის დანაშაულს ვჩადიოდი. იაგოდამ იწყო ჩემი გამოყენება, რათა შესძლებოდა გორკის ოჯახში შესვლა, უფრო დაახლოებოდა გორკის. მე მას ყველაფერში ვეხმარებოდი.

1933 წლის დამდეგს იაგოდამ ერთერთი საუბრისას მითხრა, ალექსი მაქსიმეს-ძე შეიძლება მალე მოკვდეს, იგი ბერდება, ალექსი მაქსიმეს-ძის სიკვდილის შემდეგ გორკის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამგებლად მისი შვილი მაქსი დარჩებაო. თქვენ კი, — ამბობდა იაგოდა, — კარგ ცხოვრებას ხართ შეჩვეული და სახლში მონამსახურის როლში დარჩებითო. იაგოდამ ამ შენიშვნით მე შემაშფოთა, და იაგოდამ შეამჩნია ჩემი ეს შეშფოთება. საუბარი ამით გათავდა.

1933 წელს, მგონია გაზაფხულზე, როგორც მე დღეს უკვე ვაჩვენე, იაგოდამ კვლავ განაახლა ჩემთან ეს საუბარი და მაშინ ის პირდაპირ აყენებდა კითხვას მაქსიმ პეშკოვის თავიდან მოშორების, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოკვლის შესახებ.

ის მაშინ მეუბნებოდა: საქმე აქ მაქსიმე პეშკოვი კი არ არის, აუცილებელია შევამციროთ გორკის აქტივობა, რომელიც ხელს უშლის „დიდ ადამიანებს" — რიკოვს, ბუხარინს, კამენევს, ზინოვიევსო. საუბარი იაგოდას კაბინეტში სწარმოებდა. ის მელაპარაკებოდა აგრეთვე კონტრრევოლუციურ გადატრიალებაზე. რამდენადაც მისი სიტყვები მახსოვს, ის ლაპარაკობდა, სსრ კავშირში მალე იქნება ახალი ხელისუფლება, რომელიც შენი პოლიტიკური განწყობილების შესაფერი იქნებაო. ა. მ. გორკის აქტივობა ხელს უშლის სახელმწიფო გადატრიალებას, ეს აქტივობა უნდა შევამციროთო. „თქვენ იცით, თუ როგორ უყვარს ალექსი მაქსიმეს-ძეს თავისი შვილი მაქსიმე, ამ სიყვარულში იგი დიდ ძალღონეს ჰპოვებს", — სთქვა მან.

მე ვუპასუხე, რომ არ ვაპირებ ხელი შევუშალო მას, იაგოდას, და ვკითხე, რა უნდა გამეკეთებინა. ამაზე მიპასუხა „თავიდან მოვაშოროთ მაქსიმეო" და დასძინა, მაქსიმის სიკვდილი გორკიზე გავლენას მოახდენს და მას უწყინარ მოხუცად აქცევსო. შემდეგ საუბარში მან მითხრა: თქვენი ამოცანა ძალიან უბრალოა — დაიწყეთ მაქსიმის დათრობაო. მან მითხრა, ამ საქმეში ჩაბმული გვყავს ექიმი ა. ი. ვინოგრადოვი და ექიმი ლევინიო.

მივიღე დავალება და შევუდექი მაქსიმე პეშკოვის მოკვლის მზადებას. დავიწყე მისი დათრობა, ამასთან ღვინის უშუალოდ იაგოდასაგან ვღებულობდი საკმაოდ დიდი რაოდენობით. მაგრამ მაქსიმე პეშკოვის მაგარი ორგანიზმი მაინც იტანდა. და აი 1934 წელს იაგოდა მაჩქარებს, მირჩევს გავაციო მაქსიმე. „თქვენ,—ამბობდა იაგოდა,— როგორმე თოვლში მწოლარე დასტოვეთ". მარტში თუ აპრილში, მაქსიმე პეშკოვის ძირითადად ავადმყოფობამდე ცოტა ხნით ადრე, მე ასეც მოვიქეცი. მაგრამ მაქსიმე პეშკოვი მაშინ მცირე სურდოთი გადარჩა. 2 მაისს მაქსიმე წინდაწინ დავათვრე და, როგორც აქ დღეს ექიმმა ლევინმა აჩვენა, დავტოვე ბაღში, სადაც მას რამდენიმე საათი ეძინა სკამზე. ცივი დღე იყო, და ამ მომენტიდან მაქსიმე ავად გახდა. 3 მაისს საღამოს მაქსიმემ მითხრა, შეუძლოდ ვარო. მან სიცხე გაიზომა, აღმოჩნდა 39,5 გრადუსი. ამის მიუხედავად, ექიმი არ დამიბარებია, დილით დავიბარე ლევინი. ლევინი მოვიდა და დასვა დიაგნოზი, მაქსიმეს მსუბუქი ფორმის გრიპი აქვსო. ამასთან განზე გამიხმო და მითხრა, აი თქვენ მიაღწიეთ იმას, რასაც ესწრაფოდითო.

რამდენიმე დღის შემდეგ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისთან შემთხვევით მოვიდა ექიმი ბადმაევი. ბადმაევმა გასინჯა მაქსიმე პეშკოვი და მაშინვე გამოარკვია, რომ მას ფილტვების კრუპოზული ანთება აქვს, და გაკვირვებით იკითხა—განა ლევინმა არ გასინჯაო? როცა მაქსიმე პეშკომმა გაიგო, რომ ის ფილტვების კრუპოზული ანთებით არის ავად, გვთხოვა, ხომ არ შეიძლება გამოეძახებინათ ა. დ. სპერანსკი, რომელიც ხშირად იყო ხოლმე გორკის სახლში. ალექსი დიმიტრის-ძე სპერანსკი არ ეწეოდა მკურნალობას, მაგრამ ალექსი მაქსიმეს-ძეს იგი ძალიან უყვარდა და აფასებდა, როგორც დიდ მეცნიერ მუშაკს. ეს მე ლევინს ვაცნობე. ლევინმა ამაზე მითხრა: არავითარ შემთხვევაში არ გამოიძახოთ სპერანსკიო. ლევინმა დასძინა, მე მალე ექიმ ა. ი. ვინოგრადოვთან ერთად მოვალო. და მართლაც, საღამოს ის და ექიმი ვინოგრადოვი მოვიდნენ. ექიმმა ვინოგრადოვმა, თუმცა მას ავადმყოფი ჯერ კიდევ ნანახი არ ჰყავდა, თან რაღაც წამლები მოიტანა.

7 თუ 8 მაისს მაქსიმ ალექსის-ძეს გამოკეთება დაეტყო. ეს მე იაგოდას ვაცნობე. იაგოდამ აღშფოთებით მითხრა: „რა ჯანდაბაა, ჯანსაღებს ჰხოცავენ, აქ კი ავადმყოფი ვერ მოუკლავთო". მე ვიცი, რომ ამის შემდეგ იაგოდა ელაპარაკა ექიმ ვინოგრადოვს და ექიმმა ვინოგრადოვმა სთქვა, მაქსიმე პეშკოვს შამპანური დაალევინეთო. ლევინმა მაშინ სთქვა, შამპანურის მიცემა ძალიან სასარგებლოა, რადგან ავადმყოფს დეპრესიული მდგომარეობა აქვსო. მაქსიმე ალექსისძეს დაალევინეს შამპანური, და ამან გამოიწვია კუჭის აშლილობა და დიდი ტემპერატურა.

მას შემდეგ, რაც კუჭის აშლილობა გაჩნდა, ვინოგრადოვმა პირადად — ეს მე დანამდვილებით ვიცი — ავადმყოფს სასაქმებელი მისცა, ავადმყოფის ოთახიდან გავიდა და სთქვა: „საქმის უცოდინარისათვისაც ცხადია, რომ ასეთი ტემპერატურის დროს სასაქმებლის მიცემა არ შეიძლება".

კონსილიუმმა, რომელიც მოწვეულ იქნა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაჟინებითი მოთხოვნით, დასვა საკითხი, რომ გამოყენებული ყოფილიყო ბლოკადა სპერანსკის მეთოდის მიხედვით, მაგრამ ექიმმა ვინოგრადოვმა, ლევინმა და პლეტნევმა ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრეს და სთქვეს, საჭიროა კიდევ ცოტა ხანს დაველოდოთ. 10 მაისს ღამით, როცა მაქსიმე ფაქტიურად უკვე კვდებოდა და მას სილურჯე გამოენახა, გადასწყვიტეს ეხმარათ ბლოკადა სპერანსკის მეთოდის მიხედვით, მაგრამ თვითონ სპერანსკიმ სთქვა, უკვე დაგვიანებულია და ამის გაკეთებას აზრი არა აქვსო.

ამგვარად, მაქსიმე მოკვდა 11 მაისს. მე უკვე ვაჩვენე, რომ პირადად დაინტერესებული ვიყავი მაქსიმ პეშკოვის მკვლელობით. იაგოდამ კი დანა მომცა ხელში. მე იაგოდას მითითებით მოვკალი მაქსიმე.

დამავიწყდა კიდევ მეთქვა. როცა იაგოდა მელაპარაკებოდა მაქსიმ პეშკოვის მოკვლაზე, მან მითხრა: „პეტრე პეტრეს-ძევ, მე შემიძლია ერთბაშად ჩამოგაშოროთ გორკის, თქვენ ჩემს ხელში ხართ. სულ მცირეოდენი არალოიალური ნაბიჯი ჩემს მიმართ გამოიწვევს თქვენთვის მეტად არასასიამოვნო შედეგებს".

ჩავიდინე რა ეს დანაშაული, მე იძულებული გავხდი დავთანხმებოდი კიდევ უფრო საშინელ დანაშაულზე — გორკის მოკვლაზე. იაგოდამ პირდაპირ დამისვა საკითხი, რომ საჭიროა შეუდგე გორკის ჯანმრთელობის დარღვევას. მე ვმერყეობდი, ვცდილობდი თავიდან ამეცილებინა ამ დავალების შესრულება. იაგოდამ მითხრა, რომ იგი არ მოერიდება იმას, რომ მამხილოს მე, როგორც მაქსიმ პეშკოვის მკვლელი. ამასთან იაგოდამ აშკარად მიმახვედრა, რომ თუ მოვინდომე მასზე მითითება — აქედან არაფერი გამოვა. „გამოძიება ხომ ჩემი ხალხის ხელში იქნება",— შენიშნა იაგოდამ. და მე დავთანხმდი ამ ბოროტმოქმედებაზე. ლევინმა დღეს აჩვენა, როგორ გავაციე მე გორკი. აქ ჩვენი მოქმედება შეთანხმებული იყო, ესე-იგი მე რჩევა დარიგებას ვეკითხებოდი ლევინს. 1935—36 წლის ზამთარი მაქსიმ გორკიმ გაატარა ყირიმში ტესელიში. მე მოსკოვში ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველ სამ კვირაში, ყოველ თვეში ჩავდიოდი მასთან. მე ვაწყობდი ალექსი მაქსიმის-ძის ხანგრძლივ გასეირნებებს, სისტემატურად ვანთებინებდი კოცონებს. კოცონთა კვამლი, ცხადია, მოქმედებდა გორკის დაზიანებულ ფილტვებზე. და იმ დროს, 1935—36 წლის პერიოდში, გორკის ყირიმში კი არ დაუსვენია, არამედ, პირიქით, დაღლილი დაბრუნდა მოსკოვში.

მისი მოსკოვში დაბრუნება მოაწყო ანუ, უფრო სწორად, დააჩქარა იაგოდამ, რომელიც როგორც მაქსიმ პეშკოვის მოკვლის, ისე მ. გორკის მოკვლის საქმეში მაჩქარებდა მე. როცა მე ყირიმში ვიყავი, ტელეფონით ველაპარაკე იაგოდას. იაგოდა მაჩქარებს, მეუბნება: საჭიროა მოსკოვში ჩამოვიყვანოთ გორკი, — მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ყირიმში მეტად თბილი ამინ-

(გაგრძელება IV. გვ-ზე)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ბრალდებულ კრიუჩკოვის დაკითხვა

(დასასრული)

დი იყო, ხოლო მოსკოვში ციოდა. მე ვეუბნები გორკის მოსკოვში წასვლის შესახებ, გორკი თანხმდება, ემზადება წასასვლელად და დაახლოებით 1936 წლის 26 მაისს მაქსიმ მაქსიმეს-ძე პეშკოვის ქვრივმა ნადეჟდა ალექსის-ასულმა პეშკოვამ დარეკა ტელეფონით, გვაცნობა, რომ წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მოსკოვში ცივი ამინდია, ამასთან ალექსი მაქსიმეს-ძის შვილიშვილები, ესე იგი ნადეჟდა ალექსის-ასულის ქალიშვილები, რომელნიც მოსკოვში იმყოფებიან, ავად არიან გრიპით საკმაოდ მაღალი ტემპერატურით.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ კვლავ ველაპარაკე იაგოდას. იაგოდა მეუბნება, რომ შვილიშვილები სავსებით ჯანმრთელად არიან, რომ ისინი გამოკეთდნენ და საჭიროა დავიყოლიოთ ალექსი მაქსიმეს-ძე მოსკოვში წასვლაზე. მე ეს გადავეცი ალექსი მაქსიმეს-ძეს, და 26-27 მაისს ჩვენ გავემგზავრეთ მოსკოვს. 31 მაისს, მოსკოვში ჩასვლისთანავე, ალექსი მაქსიმეს-ძე გაემგზავრა შვილიშვილებთან, რომელნიც მართლაც ავად იყვნენ გრიპით, ტემპერატურა აწეული ჰქონდათ, და იგი 31 მაისს ავად გახდა. 31 მაისს საღამოთი გამოიძახეს ექიმი ლევინი. ლევინმა აღმოაჩინა, პატარა გრიპი. მაგრამ 2 ივნისს თვით ალექსი მაქსიმეს-ძემ, როცა იგი მელაპარაკებოდა დილით, მკითხა: „რას ამბობენ ექიმები?“ მე ვუპასუხე: „გრიპია“. ის კი მეუბნება: „ჩემის აზრით, მე მეწყება ფილტვების ანთება, ამას მე ვამჩნევ ნახველის მიხედვით“. მაშინ მე დავურეკე ლევინს. ლევინი მოვიდა და დაუყოვნებლივ დაეთანხმა თვით ავადმყოფის მიერ დასმულ დიაგნოზს. ამის შემდეგ დაიწყო ვითომდა მკურნალობა. გორკის მკურნალობდნენ პროფესორი პლეტნევი და ექიმი ლევინი. მე თვალყურს ვადევნებდი ამ მკურნალობას და უნდა ვთქვა, რომ კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გორკის აძლევდნენ დიგალენს, რის შესახებაც სასამართლოს აქვს ცნობები. თუ 1936 წლის 8 ივნისამდე გორკის მაჯა თანაბარი იყო და, მგონი, 130-მდე აღწევდა წუთში, დიგალენის მიღების შემდეგ მაჯას ერთბაშად დაეტყო მკვეთრი ნახტომები, 160-მდე და მეტიც.

აი ჩემი მეორე საშინელი დანაშაული.

9 მარტის დილის სხდომა

ბრალდებულ კაზაკოვის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო კაზაკოვ, თქვენ ადასტურებთ წინასწარ გამოძიებაზე მოცემულ ჩვენებებს?

კაზაკოვი: ვადასტურებ.

თავმჯდომარე ულრიხი: უამბეთ სასამართლოს თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობა.

კაზაკოვი: ჩემი დანაშაულობანი დაკავშირებულია, კერძოდ, ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე მენჟინსკის მკვლელობასთან. ჩემი ურთიერთობა მენჟინსკისთან იყოფა ორ პერიოდად. პირველი პერიოდი 1933 წლის ნოემბრამდე, როდესაც მე წესიერად ვმკურნალობდი მას და მივაღწიე გარკვეულ შედეგებს. მეორე პერიოდი, — როდესაც მე ვიყენებდი მკურნალობის არასწორ მეთოდებს. ეს იყო ლევინთან შეხვედრის შემდეგ და იაგოდასთან შეხვედრის შემდეგ. მენჟინსკი მასთან ჩემ შეხვედრამდე მძიმე მდგომარეობაში იყო და ექვსი თუ შვიდი თვის განმავლობაში ლოგინად იწვა. მე მიმიწვიეს მძიმე ავადმყოფთან. მას ჰქონდა გულის ანგინა და ერთდროულად ბრონქიალური ასტმის შეტევები.

ელექტროკარდიოგრამა აჩვენებდა, რომ საქმე გვქონდა ვენის არტერიის ერთერთი განშტოების ტრომბოზთან.

ჩემი მკურნალობის შემდეგ 1932 წლის აპრილში, ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე ადგა და შეუდგა მუშაობას.

1933 წლის 5 მარტს მე ისევ მიმიწვიეს მენჟინსკისთან, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ვნახე: მას გადაეტანა გრიპი და ჰქონდა ხრონიოსეპტისი, ასტმის შეტევებს სცვლიდა გულის ანგინის შეტევები. ჩვენ მაშინ ვერ შევთანხმდით ექიმ ლევინთან მისი მდგომარეობის შეფასებაზე. და მე ჩამომაცილეს მენჟინსკის მკურნალობას. ლევინი და მე შევხვდით ერთმანეთს მაისში. მან რამოდენიმედ თანამიგრძნო იმ უარყოფითი დამოკიდებულების გამო ექიმების ერთი ჯგუფის მხრივ, რომლებთანაც მე ვაწარმოებდი მეცნიერულ ბრძოლას, და მითხრა, რომ ტყუილუბრალოდ ვწვალობ მენჟინსკისთან, რომ აქედან არაფერი არ გამოვა და მასზე შეუძლებელია კარიერის გაკეთება. მერმე მან მითხრა: „მაშ როგორმე სხვა დროს მოვილაპარაკოთ“.

ივნისში მე ისევ შევხვდი მას. მე გავიგე, რომ ამ ხნის განმავლობაში მენჟინსკისთან შემდგარიყო კონსილიუმი. ამ კონსილიუმმა გადასწყვიტა, რომ მენჟინსკის აქვს ხრონიო-სეფსისი და მიიღო სეფსისის საწინააღმდეგო მკურნალობა ლიზატებით. მე დავიწყე მენჟინსკის მკურნალობა 19 ივნისიდან. ივლისის ბოლოში მენჟინსკის კვლავ შეეძლო შესდგომოდა მუშაობას. აგვისტო და სექტემბერი ჩვენ ერთად გავატარეთ კისლოვოდსკში. მენჟინსკი იქ კარგ მდგომარეობაში იყო. ოქტომბერში ის ისევ შეუდგა მუშაობას.

ოქტომბრის დამლევს მე შევხვდი ექიმ ლევინს და აქ მოხდა გულახდილი საუბარი, ის, რომელიც გუშინ დაადასტურა ექიმმა ლევინმა. მან მითხრა: „თქვენი საქმე მაკვირვებს, რა არის რომ ასე გულმოდგინედ მოჰკიდეთ ხელი მენჟინსკის ჯანმრთელობის აღდგენას. ტყუილუბრალოდ მიუშვით ის თქვენ სამუშაოზე. ტყუილუბრალოდ ეწვალებით ამ ცოცხალ ლეშთან. ამით თქვენ მხოლოდ აბრაზებთ იაგოდას და ეს თქვენ სიკეთემდე არ მიგიყვანთ“. აქ კი მე სახტად დავრჩი. ლევინი განაგრძობდა: „გაიგეთ, რომ მენჟინსკი ხელს უშლის იაგოდას, და იაგოდა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე მოიშოროს ის თავიდან. გაფრთხილებთ, რომ თუ თქვენ ეტყვით ამას მენჟინსკის, მაშინ იაგოდა ჩვენ, რასაკვირველია, მოგვსპობს, ვერც სადმე დაემალებით მას. იაგოდა ისეთი კაცია, რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება, არაფერს არ ივიწყებს. გაფრთხილებთ, რომ იაგოდა თავისთან გამოგიწვევთ“.

მე ეს კარგად მახსოვს, რომ 6 ნოემბერს ჩემს წასაყვანად მოვიდა მანქანა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სანიტარული განყოფილების უფროსით, რომელთანაც მე ყოველთვის დავიარებოდი, და, ჩემთვის მოულოდნელად, წამიყვანა არა შესტიი გორკიში, სადაც მე ჩვეულებრივ მივდიოდი, არამედ ერთერთ მეშჩანის ქუჩაზე ახლად გარემონტებულ ცალკე სახლში. შევედით რა ამ ერთსართულიან ცალკე სახლში, სული შეგვეხუთა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. უმძიმესი შემხუთავი სუნი. აშკარად საგრძნობი იყო სკიპიდარის სუნი, მაგრამ იყო კიდევ სუნი რაღაც განსაკუთრებული ნივთიერებისა. მენჟინსკის ოჯახის წევრებმა მე ამიხსნეს ასე: 5 ნოემბერს, ესე იგი გუშინ, მენჟინსკის ოჯახი და ის თითონ გადმოიყვანეს აქ, აქ სწარმოებდა შეღებვა და რამდენადაც საღებავი შემოდგომით ნელა შრება, ამიტომ საღებავს დაუმატეს რაღაც ნივთიერება, სიკატივი, რომელიც ხელს უწყობს გაშრობას. უნდა ითქვას, რომ ამ სიკატივს მეტად მწვავე სუნი აქვს. ჩვენ, ჯანმრთელი ხალხი, პირდაპირ ვიხრჩობოდით ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რა დაემართებოდა მენჟინსკის, რომელიც ბრონქიალური ასტმით იყო შეპყრობილი. როცა მე შევედი მენჟინსკისთან, შევესწარი მას იძულებით მჯდარ მდგომარეობაში, ის ძლივს ლაპარაკობდა და სრულებით დასივებულიყო წინა ღამით. მე გავუსინჯე ფილტვები — ყველგან ისმოდა წკრიალა ტიპიური ასტმატიური მშრალი ხრიალი, გაგრძელებული გამოსუნთქვა, სუნთქავდა ძლიერ მძიმედ. მე და შოფერმა დავსვით ის სკამზე და ორჯერ გამოვიყვანეთ აივანზე, მაშინვე გავაღეთ ყველა ფანჯრები. სანამდი გავიყვანდი, ჯერ გავუკეთე მას ინფექცია, რომ როგორმე შემესუსტებინა ბრონქიალური ასტმის უმძიმესი შემოტევა. სამიოდე საათი მყავდა მენჟინსკი ვერანდაზე. ამის შემდეგ, ჩვენ ის ისევ შეიყვანეთ უკან. მე შინ წავედი, შინ მალე გაისმა ზარის ხმა.

მე მითხრეს, რომ ლაპარაკობენ იაგოდასაგან, მთხოვენ იქ მისვლას, რომ ახლავე მანდ მოვა ჩემ წამოსაყვანად მანქანა. მართლაც, მალე ჩემ წასაყვანად მოვიდა მეორე მანქანა და მიმიყვანეს პირველ მისავალ კართან. მე ავედი და შევხვდი იაგოდას, რაც მან გუშინ სასამართლოს საღამოს სხდომაზე დაადასტურა.

აქ მოხდა შემდეგი საუბარი. ჯერ წყნარად, ზრდილობიანად მკითხა მან:

— მითხარით, გეთაყვა, თქვენ ნახეთ ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე?

— დიახ, დღეს ვნახე.

— რა მდგომარეობაში ნახეთ იგი?

— ძალიან მძიმე მდგომარეობაში.

პატარა პაუზის შემდეგ იაგოდამ სთქვა:

— სწორედ რომ ვთქვათ, მენჟინსკიზე ყველამ ხელი ჩაიქნია. ამან მე ცოტა გამაკვირვა. შემდეგ იაგოდამ მომცა შეკითხვა:

—მითხარით ერთი, თქვენ ლევინს ელაპარაკეთ?

— დიახ, ველაპარაკე.

— მაშ თქვენ რატომ... (აქ ის გამოვიდა ჩვეულებრივი ელემენტარული ზრდილობის ფარგლებიდან და ჩემს წინაშე წარმოსდგა ნამდვილი აღვირახსნილი სატრაპი). რატომ ატანთ ჭკუას ძალას და არ მოქმედობთ? ვინ გთხოვათ თქვენ სხვის საქმეებში ჩარევა?

აქ მივხვდი, რომ ის რაღაც საქმის მონაწილეა, რომ მან იცის იმის შესახებ, თუ რაც მოხდა სამი-ოთხი საათის წინ. მე შევეკითხე იაგოდას: „რა გსურთ თქვენ ჩემგან?“ იაგოდამ მიპასუხა: „თქვენ ექიმ ლევინთან ერთად უნდა გამოიმუშაოთ მენჟინსკის მკურნალობის ისეთი მეთოდი, რომ მან მალე დაამთავროს თავისი უსარგებლო და ბევრისათვის ხელისშემშლელი სიცოცხლე. გაფრთხილებთ, რომ თუ თქვენ განიზრახავთ წინააღმდეგობას, მე შევძლებ გაგისწორდეთ. თქვენ ჩემგან ვერსად გაიქცევით...“

მე მივხვდი, რომ საშინელ მუხრუჭში მოვემწყვდიე.

ნოემბრის დამლევს შევხვდი ლევინს. და მასთან ერთად გამომუშავებულ იქნა მეთოდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: უწინარეს ყოვლისა გამოყენებული იყო ცილისა და ცილოვანი პროდუქტების ორი ძირითადი თვისება. პირველი: ცილოვანი დაშლის პროდუქტებს — ჰიდროლიზებს აქვთ ისეთი თვისება, რომ აძლიერებენ წამლის ნივთიერებათა მოქმედებას. მეორე: ლიზატები აძლიერებენ ორგანიზმის მგრძნობიერობას. აი ეს ორი თვისება იყო გამოყენებული.

მესამე: გამოყენებულ იქნა მენჟინსკის ორგანიზმის თავისებურება, ბრონქიალური ასტმისა და გულის ანგინის კომბინაცია.

მე თუ მკითხავთ, საჭირო იყო თუ არა მენჟინსკისათვის სიმპატიკო და ტროპიული ნივთიერებების მიცემა, უნდა ვთქვა — დიახ, რომ ყოფილიყო მხოლოდ ბრონქიალური ასტმა, მაგრამ რადგანაც მას ჰქონდა აგრეთვე გულის ანგინა, ამ წამლის მიცემა არ შეიძლებოდა.

და მხოლოდ უვიც ადამიანს შეეძლო ამ დაავადებათა კომბინაციის დროს თირკმელზე და ჯირყვლის ტვინის გარსის პრეპარატების მიცემა.

ვიშინსკი: უვიცსა ან?

კაზაკოვი: ანდა წინასწარ მოფიქრებული მიზნებით მოქმედ ადამიანს.

ვიშინსკი: ბოროტმოქმედების მიზნებით?

კაზაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: შეიძლება აქ ადგილი ჰქონდა უვიცობასაც და ბოროტმოქმედებასაც?

კაზაკოვი: არა, აქ იყო ბოროტმოქმედება. თანდათან ვწყვეტდით ერთი პრეპარატის მიცემას და უნიშნავდით სხვებს. ამიტომ მე არ ვიცი, შეეძლოთ თუ არა თვით ამ პრეპარატებს იმ ეფექტის მოცემა, რომელიც მათ უნდა მოეცათ. საჭირო იყო კიდევ მთელი რიგი გულის წამლების მიცემა — დიგიტალისის, ადონისის, სტროფანტის, რომლებიც ენერგიულად ამუშავებდნენ გულს. ამ წამლების მიცემა ტარდებოდა შემდეგი წესით: ვაძლევდით ჯერ ლიზატებს, შემდეგ სწყდებოდა ლიზატებით მკურნალობა და შემდეგ ვაძლევდით გულის წამლებს. ასეთ „მკურნალობის“ შედეგად ჩვენ მივიღეთ უდიდესი დასუსტება და მენჟინსკი გარდაიცვალა ღამით 9 მაისს.

მე ვიცი, რომ თქვენ მკითხავთ — რატომ არ შევატყობინე ამ ბოროტმოქმედების შესახებ საბჭოთა ორგანოებს? იაგოდას გაორკეცებული მეთვალყურეობის ქვეშ ვყავდი. ეს ვიცოდი, ამას მე ვგრძნობდი.

თქვენ მკითხავთ, ალბათ, მაშ რა მოტივებით ვხსნი ჩემ სიჩუმეს? მე უნდა ვთქვა — ეს არის მოტივები დამამცირებელი შიშისა. იაგოდას დიდი თანამდებობა ეკავა. და მეორე მომენტი: სანიტარულ განყოფილებაში მომუშავე ექიმების უმრავლესობა — ჩემი მეცნიერული მოწინააღმდეგეები იყვნენ. მე ვფიქრობდი, შეიძლება, დადგეს მომენტი, როცა მე შევიძლებ თავისუფლად მუშაობას, იქნებ იაგოდამ შესძლოს მათი შეჩერება.

ვიშინსკი: თქვენი ბოროტმოქმედების დასაჯილდოებლად?

კაზაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: თქვენ ამბობთ, რომ გქონდათ წმინდა კარიერისტული ხასიათის მოსაზრებები. თქვენს წინააღმდეგ განწყობილი იყო საექიმო მეცნიერება და თქვენ ანგარიშობდით თქვენი მოწინააღმდეგეების მოცილებას?

კაზაკოვი: ესე იგი მათს ნეიტრალიზებას და თავისუფალი მუშაობის საშუალებას ანდა მათს ალაგმვას.

ვიშინსკი: და თქვენ მაშინ შესძლებდით მეცნიერულ მუშაობას?

კაზაკოვი: ესე იგი მე ვიმუშავებდი თავისუფლად.

ვიშინსკი: —აქამდე კი თავისუფლად ვერ მუშაობდით ჩვენს ქვეყანაში?

კაზაკოვი: იმ პერიოდში მე ვმუშაობდი დიდი შევიწროებით.

ვიშინსკი: ეს თქვენი პირადი განცდებია, რადგანაც იყო საწინააღმდეგო შეხედულება თქვენი მეცნიერული მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

მაგრამ მე გეკითხებით, სახელმწიფომ უზრუნველჰყო ყველა შესაძლებლობა თქვენი მეცნიერული მუშაობისათვის?

კაზაკოვი: სახელმწიფომ უზრუნველჰყო სავსებით, მაგრამ წრე...

ვიშინსკი: მოითმინეთ. საბჭოთა სახელმწიფომ მოგცათ თქვენ ინსტიტუტი?

კაზაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: დიდი თუ პატარა?

კაზაკოვი: საუკეთესო ინსტიტუტი საბჭოთა კავშირში.

ვიშინსკი: თანხები მოცემული იყო?

კაზაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: როგორი თანხები?

კაზაკოვი: დიდი.

ვიშინსკი: დიდი, გიგანტური. მაშ როგორ ჰბედავთ იმის თქმას, რაც თქვენ ახლა სთქვით? თქვენ აქაც ჰფიქრობთ ცილისწამებას. განაგრძეთ თქვენი განმარტებანი.

კაზაკოვი: სასამართლო არის ახლა ჩემთვის ის მომენტი, როცა მე შემიძლია პატიოსნად გიამბოთ მომხდარი ამბების შესახებ და, უპირველეს ყოვლისა, შინაგანად განვთავისუფლდე ჩადენილი ბოროტმოქმედების შეგნებისაგან.

ვიშინსკი: გვითხარით ერთი თქვენი ფორმულა ნომერი ორი, რომლის დახმარებით თქვენ დაღუპეთ მენჟინსკი? აი ეს ღვიძლის ლიზატი.

კაზაკოვი: ღვიძლის ლიზატი საჭიროა ბრონქიალური ასტმის დროს, გულის ანგინის დროს...

ვიშინსკი: ფარისებრი ჯირყვლის ლიზატი?

კაზაკოვი: საჭიროა ბრონხიალური ასტმის დროს და წინააღმდეგ ნაჩვენებია გულის ანგინის დროს.

ვიშინსკი: ტვინის დანამატის ლიზატი?

კაზაკოვი: წინააღმდეგ ნაჩვენებია გულის ანგინის დროს.

ვიშინსკი: თირკმელზედა ტვინის გარსის ლიზატი?

კაზაკოვი: წინააღმდეგ ნაჩვენებია.

ვიშინსკი: რა მიზნებით აძლევდით ამ ლიზატებს?

კაზაკოვი: ბოროტმოქმედების მიზნებით.

ვიშინსკი: მკვლელობის მიზნით?

კაზაკოვი: დიახ, დიახ.

ვიშინსკი: ვინ უწევდა კონტროლს თქვენს რეცეპტებს?

კაზაკოვი: არავინ არ უწევდა კონტროლს.

ვიშინსკი: მე ვთხოვ ექსპერტიზას მიპასუხოს კითხვაზე—იყო თუ არა რაიმე კონტროლი კაზაკოვის ლიზატების მიმართ. თუ, მას შეეძლო ყველაფრის მიცემა, რასაც მოისურვებდა? მე ვთხოვ ექსპერტიზას მიპასუხოს ამ კითხვაზედაც: ითამაშეს თუ არა თავის როლი ამ სამმა ლიზატმა მენჟინსკის ბოროტმოქმედებით მოწამვლაში?

თავმჯდომარე ულრიხი: დამცველებს აქვთ შეკითხვები?

დამცველი კომოდოვი: თქვენი შეხვედრის დროს იაგოდასთან 1933 წლის ნოემბერში მან მოგთხოვათ მკურნალობის გარკვეული მეთოდი, თუ გარკვეული შედეგები?

კაზაკოვი: ის მოითხოვდა მკურნალობის ისეთ მეთოდს, რომელიც დააჩქარებდა მენჟინსკის სიკვდილს.

დამცველი კომოდოვი: როგორ გაიგეთ თქვენ, რა უნდოდა იაგოდას?

კაზაკოვი: იაგოდას უნდოდა მენჟინსკისაგან მალე განთავისუფლებულიყო.

დამცველი კომოდოვი: მენჟინსკის რაც შეიძლება მალე სიკვდილი? და თქვენ დასთანხმდით გემოქმედნათ სწორედ ამ მიმართულებით?

კაზაკოვი: დიახ.

დამცველი კომოდოვი: იაგოდასთან ლაპარაკის შემდეგ რამდენად მალე მოკვდა მენჟინსკი?

კაზაკოვი: ექვსი თვის შემდეგ. ჩვენ ეს ლაპარაკი გვქონდა 1933 წლის ექვს ნოემბერს, ხოლო მენჟინსკი მოკვდა 1934 წლის 9 მაისს ღამე.

ვიშინსკი: (კაზაკოვს) დამცველის ამხ. კომოდოვის კითხვაზე თქვენ უპასუხეთ, რომ იაგოდასთვის სულ ერთი იყო, როგორ „მკურნალობთ“ თქვენ მენჟინსკის, მისთვის საჭირო იყო მხოლოდ შედეგი, ე. ი. სიკვდილი?

კაზაკოვი: იაგოდა მე თვალყურს მადევნებდა ლევინის საშუალებით.

ვიშინსკი: ლევინი ამოწმებდა თქვენს ლიზატებს?

კაზაკოვი: არა, იგი არ ამოწმებდა, არამედ არკვევდა მენჟინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ამით იგი ამოწმებდა ჩვენი დანაშაულებრივი გეგმის რეალიზაციას.

ვიშინსკი: (სასამართლოს) ნება მომეცით შევეკითხო ბრალდებულ ლევინს ამ საკითხზე.

ლევინი: მე არ შემეძლო შემემოწმებინა ლიზატები, იმიტომ რომ მე არასოდეს არ მწამდა კაზაკოვის მკურნალობის მეთოდი.

ვიშინსკი: რატომ არ გწამდათ თქვენ ეს მეთოდი, თქვენ მიგაჩნდათ, რომ ეს შარლატნობაა?

ლევინი: მე მას ავანტურიზმად ვთვლიდი. არავინ იცოდა, როგორ ამზადებდა კაზაკოვი ლიზატებს.

ვიშინსკი: მათი შემოწმება შესაძლებელი იყო?

ლევინი: ძალიან ძნელი იყო. იგი ყოველთვის მოდიოდა თავისი პატარა ჩემოდნით და იქ იყო რაღაც ამპულები.

ვიშინსკი: მას რომ მოესურვებინა მათი ცუდად მომზადება?

ლევინი: მას ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდა ამისთვის.

ვიშინსკი: ბრალდებულო კაზაკოვ, მე გეკითხებით თქვენ, შეგეძლოთ თუ არა მოგეტყუებინათ იაგოდა ამ საქმეში, ე. ი. საქმე წარმოგედგინათ ასე — ყველაფერს ვაკეთებ, რათა მოვკლა, მაგრამ არ გამოდის, ორგანიზმი ცხოველუნარიანია, იბრძვის? საკითხის ასე დაყენება შესაძლოა თუ არა?

(კაზაკოვი სდუმს).

თუ თქვენ გსურდათ იგივე შედეგი, რაც იაგოდას სურდა, იმიტომ, რომ იმედი გქონდათ, რომ შეიძლება იაგოდაც გამოგადგეთ შემდეგ თქვენი ეგრეთწოდებული მეცნიერული კარიერისათვის ბრძოლაში?

თქვენ გესმით ჩემი კითხვა?

(კაზაკოვი სდუმს).

თუ თქვენ თქვენი პირადი კეთილდღეობის საკითხი ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სიცოცხლეზე, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დააყენეთ, თუ თქვენ ასე დაბლა დაეცით, შეგეძლოთ თუ არა უკანასკნელი თავშესაფარი გეპოვათ იმაში, რომ მოგეტყუებინათ იაგოდა — გეთქვათ: მე ვაკეთებ, ვცდილობ, რომ შედეგად სიკვდილი მოჰყვეს, მაგრამ არ გამოდის ესა? შეგეძლოთ თუ არა?

კაზაკოვი: შევძლებდი. მე უნდა ვთქვა ახლა, რომ ეს სამი ლიზატი წინააღმდეგ ნაჩვენებია გულის ანგინის დროს, მაგრამ თუ ჩვენ ახლა ამოვირჩევთ რომელიმე ავადმყოფს გულის ანგინით და მივცემთ ამ სამ ლიზატს, ისინი არ გამოიწვევენ სიკვდილს. ადრენალინსაც კი აძლევენ...

ვიშინსკი: მაშასადამე, რა გამოდის?

კაზაკოვი: მაშასადამე, გამოდის, რომ მე ვანგარიშობდი, მაგრამ მე არ მომიკლავს.

ვიშინსკი: თქვენ აძლევდით ამ ლიზატებს რისთვის? მისთვის, რომ მოგეკლათ მენჟინსკი?

კაზაკოვი (სდუმს).

ვიშინსკი: თქვენ ამ მიზნით აძლევდით ლიზატებს? თქვენ მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ თქვენს ბოროტმოქმედებას?

კაზაკოვი: იცით რა, ლიზატებს ორნაირი მოქმედება აქვთ...

ვიშინსკი: ჩვენ ეს ვიცით, რა მოქმედება შეუძლია იქონიოს თქვენმა ლიზატებმა. თქვენ ჰბედავთ დაამტკიცოთ, რომ ეს სამი ლიზატი უვნებელი იყო მენჟინსკისათვის?

კაზაკოვი: დიახ, ეს სამი ლიზატი უვნებელი იყო.

ვიშინსკი: თქვენ შეგეძლოთ იაგოდას მოტყუება?

კაზაკოვი (სდუმს).

ვიშინსკი: რადგანაც შეუძლებელია პირდაპირი პასუხის მიღება ამ ნათელ კითხვაზე, მე ვთხოვ სასამართლოს შესწყვიტოს სხდომა და საშუალება მისცეს ექსპერტიზას გვიპასუხოს კითხვაზე, რომელიც მივეცი კაზაკოვს.

თავმჯდომარე ულრიხი: (ექსპერტებს) შეგიძლიათ თქვენ ახლა გვიპასუხოთ?

ექსპერტები: არა, ჩვენ გთხოვთ დასვენების შემდეგ.

თავმჯდომარე ულრიხი: ცხადდება დასვენება ნახევარი საათით.

* * *

თავმჯდომარე ულრიხი: (დასვენების შემდეგ) ექსპერტიზას შეუძლიან მოგვცეს დასკვნა პროკურორის დამატებით შეკითხვებზე?

ექსპერტი პროფესორი ბურმინი: დიახ, იგი მზად არის. (კითხულობს).

საექიმო ექსპერტიზის პასუხები სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წამოყენებულ შეკითხვებზე

შეკითხვა: იყო თუ არა რაიმე კონტროლი და შესაძლებელია თუ არა ყოფილიყო კონტროლი ი. ნ. კაზაკოვის მიერ ლიზატების მომზადების დროს?

პასუხი: არავითარი კონტროლი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაშინ (1933 წელს და 1934 წლის პირველ ნახევარს — განსვენებულ ამხანაგ მენჟინსკის კაზაკოვის მიერ მკურნალობის დროს) ლიზატების მომზადების მეთოდი აბსოლუტურად საიდუმლოდ იყო შენახული კაზაკოვის მიერ.

შეკითხვა: ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი კაზაკოვის მიერ ფარისებრივი ჯირყვლის, ტვინის დანამატის და თირკმელზე ტვინის გარსის ლიზატების გამოყენებამ ამხანაგ ვ. რ. მენჟინსკის ჯანმრთელობის გაუარესებაზე?

პასუხი: ზემოდაღნიშნული ლიზატების (ფარისებრივი ჯირყვლის, ტვინის დანამატის და თირკმელზე ტვინის გარსის) გამოყენება გულის მძიმე დაავადების დროს, რომლითაც შეპყრობილი იყო განსვენებული ვ. რ. მენჟინსკი, დაუშვებელი იყო და ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ი. ნ. კაზაკოვს.

ამ ლიზატების მავნე მოქმედებას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აძლიერებდა ის გარემოება, რომ ვ. რ. მენჟინსკის ამასთანავე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობდნენ „დიგიტალის ლუტეას“ პრეპარატებით, რომელთა მოქმედება ლიზატების ზეგავლენით უეჭველად ძლიერდებოდა.

მკურნალობის ასეთი მეთოდების შეხამებას არ შეიძლება არ გამოეწვია ავადმყოფის ვ. რ. მენჟინსკის გულის კუნთის დაუძლურება და ამით მისი სიკვდილის დაჩქარება.

ექსპერტები:

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე—პროფესორი დ. ა. ბურმინი.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე—პროფესორი ნ. ა. შერეშევსკი.

პროფესორი—ვ. ნ. ვინოგრადოვი.

პროფესორი—დ. მ. როსიისკი.

სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი—ვ. დ. ზიპალოვი.

1938 წ. 9 მარტი. ქ. მოსკოვი.

ვიშინსკი: გთხოვთ ნება დამრთოთ გამოვაქვეყნო ბრალდებული კაზაკოვის ჩვენებანი, რომლებიც მოიპოება № 19 ყდაში 68 და 69 ფურცლებზე, სადაც მან ჩამოაყალიბა ფორმულა ნომერი ორის შინაარსი და აჩვენა შემდეგი: „რამდენადაც ამ ფორმულაში შედიოდა უკვე სამი სიმპატიკოტროპული ლიზატი— ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზე ჯირკვლის ტვინის შრისა და ტვინის დანამატის ლიზატი, ამასთან გაძლიერებული დოზით მიღებისას მენჟინსკის დაავადებული გულის ძალთა მარაგის შესუსტებისა და გამოფიტვის პროცესმა, ლიზატებისა და გულის სამკურნალო წამლების კომბინაციით გამოწვეული გაძლიერებული მუშაობის შედეგად, მკვეთრად იწყო ზრდა, 9 მაისს ღამით მენჟინსკი გარდაიცვალა გულის მუშაობის დაცემის მოვლენათა პირობებში“.

ბრალდებულო კაზაკოვ, ახლა თქვენ თანახმა ხართ იმ ჩვენებაზე, რომელიც წინათ მიეცით?

კაზაკოვი: თანახმა ვარ და სავსებით ვადასტურებ.

ბრალდებულ პლეტნევის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო პლეტნევ, უამბეთ სასამართლოს თქვენი დანაშაულების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

პლეტნევი: 1934 წლის ზაფხულს მე მომმართა ექიმმა ლევინმა და მითხრა, რომ ჩემი ნახვა უნდა იაგოდას, მასთან დაუმატა, რომ ის მომმართავს მე არა როგორც პაციენტი. რამდენიმე დღის შემდეგ მე გამომიგზავნეს მანქანა და მიმიყვანეს იაგოდას კაბინეტში. მან დაიწყო ჩემთან საუბარი პოლიტიკურ თემაზე. მითხრა, რომ მწიფდება გადატრიალება, რომელშიაც ის მონაწილეობს; სხვა პირებიდან დაასახელა მხოლოდ ენუქიძე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ლევინმა ენუქიძის გარდა დამისახელა მე ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილეებიდან კიდევ რიკოვი. იაგოდამ მითხრა, რომ მან და ენუქიძემ გადასწყვიტეს, გარდა ლევინისა, ამ საქმეში ჩემი ჩაბმაც და რომ საჭიროა ჩვენი დახმარება ორი პიროვნების თავიდან მოცილებისათვის. ეს ორი პირი იყო: მაქსიმ გორკი და კუიბიშევი. მე საწინააღმდეგო აზრი გამოვთქვი, ვლაპარაკობდი რა, რომ, ჯერ ერთი, მაქსიმ გორკი--მწერალია, რომ, მეორე, ესენი ორივე ავადმყოფი ადამიანია, რომელთაც არსებითად დიდიხნის სიცოცხლე არ დარჩენიათ. იაგოდამ სთქვა: „ისინი ავად არიან, მაგრამ მეტად აქტიურები არიან, და საკითხი იმაში კი არ არის, რომ მოვიცილოთ მხოლოდ ჯანმრთელები, არამედ მასში, რომ შევამციროთ ხანგრძლივობა და ინტენსივობა ამ პირთა აქტიობისა“ და დაუმატა, რომ მაქსიმ გორკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. მან მითხრა, რომ ამომირჩია მე არა როგორც მედიცინის ადამიანი, არამედ იმიტომაც, რომ იცის ჩემი ანტისაბჭოთა განწყობილება. მისი წინადადება დასაბუთებული იყო ძლიერი მუქარით ჩემ მიმართ და ჩემი ოჯახის მიმართაც. მე იშვიათად ვყოფილვარ კუიბიშევთან. გორკისთან მე დავდიოდი ყოველთვის ექიმ ლევინთან ერთად, როდესაც გორკი მძიმედ იყო ავად. მე ვიყავი კონსულტანტი, გორკის შინა ექიმი იყო ლევინი.

მკურნალობის გეგმა შევიმუშავე ლევინთან ერთად, მე მისთვის პასუხს ვაგებ ისევე, როგორც ლევინი.

ლევინის ნათქვამს მე ვადასტურებ. გორკი ძალიან სუსტი ჯანმრთელობისა იყო, რაც მაშინ ყველა ექიმმა იცოდა. განკვეთისას დადასტურდა, რომ გორკი ფილტვების ერთი მესამედით ცოცხლობდა. მაშასადამე, ფიზიკური დაქანცულობა, რაიმე ინფექცია—ყოველივე ეს შეიძლებოდა საბედისწერო გამომდგარიყო. არავითარი გარეშე შხამი ჩვენ არ მიგვიცია მისთვის, არამედ ჩავატარეთ რეჟიმი, რომელიც მავნე იყო გორკისათვის.

რაოდენობისა და ხარისხის მხრით ყველა წამალი დასაშვები იყო, ხოლო ინდივიდუალურად გორკისათვის ეს წამლები საზიანო იყო. რასაკვირველია, ეს არ სცვლის საქმის არსს. ტოქსიკურმა გავლენამ, მავნე გავლენამ თავი იჩინა იმიტომ, რომ ამტანობის ფარგალი გორკის ნაკლები ჰქონდა, ვიდრე სხვა ადამიანს.

რაც შეეხება კუიბიშევის მოკვლას, ლევინის ნათქვამი სავსებით სწორია. მეტად დაძაბული, მეტად ნერვული ცხოვრების გამო კუიბიშევს არ ჰყოფნიდა ძალა. საჭირო იყო აღმძვრელი საშუალებანი, რომლებსაც მას უშხაპუნებდნენ სხვადასხვაგვარი გორმონის სახით. არ შეიძლება მათი შეშხაპუნება განუწყვეტლივ 365 დღის განმავლობაში წელიწადში, საჭიროა დროდადრო შესვენება, ხოლო ამ შესვენებას არ ვაძლევდით. სათანადო გავლენას ახდენდნენ აგრეთვე გულის სამკურნალო წამლები, რომლებსაც ლევინი უნიშნავდა.

ვიშინსკი: როგორ ახასიათებთ თქვენს სულიერ განწყობილებას იმ დროს, როცა იაგოდამ მიგიწვიათ მოსალაპარაკებლად კუიბიშევისა და გორკის მოკვლის შესახებ? გქონდათ თუ არა თქვენ მაშინ ანტისაბჭოთა განწყობილება?

პლეტნევი: მქონდა.

ვიშინსკი: და თქვენ ნიღბავდით ამ განწყობილებას?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: როგორ?

პლეტნევი: არა ერთხელ ვლაპარაკობდი ყველა იმ ღონისძიების მხარდამჭერის შესახებ, რომელსაც იტარებდა საბჭოთა ხელისუფლება.

ვიშინსკი: სინამდვილეში კი?

პლეტნევი: მე არ ვიყავი საბჭოთა ადამიანი.

ვიშინსკი: ანტისაბჭოთა?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: ინიღბებოდით?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: ორგულობდით?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: რისგან შესდგებოდა გეგმა, რომელსაც ადგენდით თქვენ ლევინთან ერთად ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მოკვლის მიმართ? სთქვით მოკლე ფორმულით.

პლეტნევი. ორგანიზმის დაღალვა და ამით მისი წინააღმდეგობის შემცირება.

ვიშინსკი: ადამიანის ძალისათვის შესაძლებელ და მისაწვდომ საზღვრამდე?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: რომ გესარგებლნათ ამ დასუსტებული ორგანიზმის მდგომარეობით და რისთვის?

პლეტნევი: შესაძლებელი გაციებისათვის და გაციებასთან დაკავშირებული ინფექციის გამოსაწვევად.

ვიშინსკი: ე. ი. განზრახ უნდა შეგექმნათ რაიმე ავადმყოფობით შეპყრობის აუცილებელი პირობები?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: და გესარგებლნათ ავადმყოფობით, რომ ჩაგედინათ რა?

პლეტნევი: რომ გამოგვეყენებინა მკურნალობის არასწორი მეთოდი.

ვიშინსკი: რისთვის?

პლეტნევი: რომ მოგვეკლა გორკი.

ვიშინსკი: აი ეს იყო თქვენი გეგმა?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: და თქვენ ეს შეასრულეთ?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: როგორ მოამზადეთ თქვენ გორკის ორგანიზმი იმისათვის, რომ მას აღარ შესძლებოდა წინააღმდეგობა?

პლეტნევი: ეს ტექნიკა აქ განმარტა ლევინმა.

ვიშინსკი: თქვენ ამ გეგმას მხარს უჭერდით?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: თქვენ მიაღწიეთ ლევინთან ერთად თქვენ მიერ დასახულ საზარელ შედეგს?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის მიმართ თქვენ აგრეთვე ლევინთან ერთად დაამუშავეთ მისი მოკვლის გეგმა?

პლეტნევი: აგრეთვე, ლევინთან ერთად.

ვიშინსკი: და თქვენ ლევინთან ერთად ზრუნავდით იმაზე, რომ ეს გეგმა შესრულებული ყოფილიყო?

პლეტნევი: იმდენად, რამდენადაც ის ლევინმა შეასრულა, ეს იყო საერთო გეგმა.

ვიშინსკი: რატომ უარი არ სთქვით ამ ბოროტმოქმედების გეგმაზე?

პლეტნევი: იაგოდას მხრივ მუქარას ჰქონდა ადგილი ჩემი მისამართით.

ვიშინსკი: რატომ აძლევდით სერიოზულ მნიშვნელობას იაგოდას მუქარას?

პლეტნევი: რაც არ უნდა იყვეს, ეს იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

ვიშინსკი: და როცა ის აღარ იყო სახალხო კომისარი, რა გაკავებდათ თქვენ მაშინ, რომ გამოცხადებულიყავით სათანადო ორგანოებში და შეგესრულებინათ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა?

პლეტნევი: მე საკითხს ვთვლიდი დასრულებულად და უკვე მკვდრად.

ვიშინსკი: მკვდრები იყვნენ თქვენი მსხვერპლნი, საკითხი კი აქამდის ცოცხალია.

პლეტნევი: ახლა მე ვხედავ, რომ ის ცოცხალია.

ვიშინსკი. თქვენ გეშინოდათ იაგოდასი, როცა ის იყო შინსახკომის ხელმძღვანელი, მაგრამ ხომ იყო ისეთი მომენტი, რომელიც გრძელდებოდა არა ერთი დღე და არა ერთი თვე, — როდესაც იაგოდა არავითარ საშიშროებას თქვენთვის არ წარმოადგენდა, მაშინ როცა ის მოხსნეს შინსახკომში მუშაობიდან?

პლეტნევი: მე მეგონა, რომ ეს კოშმარი გათავებულია...

ვიშინსკი: რომ კვალი წაშლილია, რომ არავინ არაფერი არ იცის?

პლეტნევი: დიახ.

ვიშინსკი: და რომ თქვენ წინანდებურად შეგეძლებათ დარჩეთ, როგორც მედიცინის მნათობი, როდესაც სინამდვილეში ხართ ბანდიტური წრეების „მნათობი“. ეს ასეა?

პლეტნევი: დიახ.

თავმჯდომარე ულრიხი: დამცველებს აქვთ კითხვები?

დამცველი კომოდოვი: ბრალდებულო პლეტნევ, თქვენს ჩვენებებში არის ადგილი, სადაც ამბობთ, რომ იაგოდასთან საუბრის დროს, როდესაც თქვენ მას საწინააღმდეგო პასუხს აძლევდით, მან განგიცხადათ: წინადადება მოცემული გაქვთ არა სადისკუსიოდ, არამედ ცხოვრებაში გასატარებლადო. იყო თუ არა ასეთი ადგილი?

პლეტნევი: დიახ.

დამცველი: იყო თუ არა შემთხვევა იაგოდასთან შეხვედრის დროს, რომ იაგოდამ გითხრათ, არსებობს თქვენი სახელის გამტეხი მასალაო?

პლეტნევი: მას ჩემთვის მასალა არ უჩვენებია, მაგრამ ამის შესახებ კი ლაპარაკობდა.

ვიშინსკი: (მიმართავს პლეტნევს) თქვენ არ გიკითხავთ, თუ რა მასალა იყო ესა?

პლეტნევი: არა, არ მიკითხავს.

ვიშინსკი: შეიძლება მასალა არც კი ყოფილა.

პლეტნევი: ჩემი თვალსაზრისით? მე აქამდე არ ვიცი.

ვიშინსკი: თქვენ რომ სერიოზული კაცი ყოფილიყავით, უნდა გეკითხათ, რა მასალა იყო.

პლეტნევი: მე ეს არ მიკითხავს, მაგრამ ჩემი კადეტური წარსული...

ვიშინსკი: კადეტური წარსული მარტო თქვენ არა გაქვთ. მაშ, რამ შეგაშინათ?

პლეტნევი: საერთო სიტუაციამ.

დამცველი კომოდოვი: თქვენ შეგეძლოთ გეფიქრნათ, რომ სახელმწიფოებრივი უშიშროების ორგა-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა

*) შემოკლებული სტენოგრამა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ბრალდებულ პლეტნევის დაკითხვა

(დასასრული)

ნოები გაიგებდნენ თქვენს ანტისაბჭოთა განწყობილებებს?

პლეტნევი: რაკი მე ეს განწყობილებანი მქონდა, მაშასადამე, საფუძველიც არსებობდა ასეთი მოსაზრებისათვის.

დამცველი კომოდოვი: თქვენი ანტისაბჭოთა განწყობილებანი თავისთავად ჩაგადენინებდათ დანაშაულობებს თქვენს მუშაობაში, იაგოდას მითითებები რომ არ ყოფილიყო?

პლეტნევი: არავითარ შემთხვევაში.

დამცველი კომოდოვი: რამდენი წელიწადია თქვენ ექიმობას ეწევით?

პლეტნევი: ორმოცი წელიწადია.

დამცველი კომოდოვი: ამ ორმოცი წლის განმავლობაში თქვენ მუშაობდით, როგორც მკურნავი ექიმი, თუ მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდით?

პლეტნევი: მე ვიყავი მკურნავი ექიმი, ვიყავი პედაგოგი, ვეწეოდი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას და ვიყავი სსრ კავშირის ერთერთი ხელმძღვანელი სამედიცინო ჟურნალის რედაქტორი.

დამცველი კომოდოვი: თქვენ გაქვთ სამეცნიერო ნაშრომები?

პლეტნევი: მე მაქვს მთელი რიგი ნაშრომები.

დამცველი კომოდოვი: მეტი კითხვა არა მაქვს.

ვიშინსკი: (მიმართავს პლეტნევს) როგორ სთქვით თქვენ; რამდენი წლის ექიმობის სტაჟი გაქვთ?

პლეტნევი: ორმოცი წლისა.

ვიშინსკი: თქვენ ეს სტაჟი უმწიკვლოდ მიგაჩნიათ?

პლეტნევი: დიაღ, მიმაჩნია.

ვიშინსკი: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ განაჩენი, რომელიც არსებობს თქვენთვის კარგად ცნობილ საქმეზე პაციენტი-ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ, სამარცხვინო მომენტია თქვენი საქმიანობისათვის?

პლეტნევი: განაჩენი, დიაღ.

ვიშინსკი: განაჩენით შებღალულია თუ არა თქვენი საქმიანობა?

პლეტნევი: შებღალულია.

ვიშინსკი: მაშასადამე, ორმოცი წლის განმავლობაში გქონიათ სახელისგამტეხი მომენტები?

პლეტნევი: დიაღ.

ვიშინსკი: მეტი კითხვა არა მაქვს.

ბრალდებულ მაქსიმოვ-დიკოვსკის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: გვიამბეთ თქვენი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ.

მაქსიმოვ-დიკოვსკი: ჩემი დაახლოება მემარჯვენეებთან ეკუთვნის 1928 წელს, როდესაც მე წითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელი ვიყავი. ინსტიტუტში მე ახლოს გავეცანი აგრარული დარგის სპეციალისტს გაისტერს, რომელიც მაშინ უკვე მემარჯვენე იყო.

1929 წლის დასაწყისიდან მე უკვე აგრეთვე ვიდექი მემარჯვენეების პოზიციებზე, დავადექი ანტიპარტიულ და კონტრრევოლუციურ გზას.

მივდევდი რა მემარჯვენეთა ცენტრის ტაქტიკას, მე არამც თუ არასოდეს არ გამოვდიოდი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ ვცდილობდი კიდევაც არ დავახლოებოდი იმ მემარჯვენეებს, რომლებსაც გატეხილი ჰქონდათ სახელი. როგორც ყველა მემარჯვენე, მე ვინიღბებოდი და ვორგულობდი.

შემდეგ 1930, 1931 წლებში ჩემი კავშირი მემარჯვენეებთან გაძლიერდა. მე ვიცოდი გაისტერის საშუალებით იმის შესახებ, რომ სამეული—რიკოვი, ბუხარინი და ტომსკი—აძლიერებს თავის ბრძოლას პარტიასთან, რომ რსფსრ-ის და ნაციონალური რესპუბლიკების მთელ რიგ ოლქებში მათ შეჰქმნეს თავისი იატაკქვეშური, არალეგალური ორგანიზაციები. 1931 წლის ბოლოს გაისტერთან ერთი შეხვედრის დროს, მან პასივობა მისაყვედურა. როდესაც გაისტერმა გაიგო, რომ მე ვათავებ ინსტიტუტს, მან მკითხა, როგორ შევხვდებოდი იმას, თუ იგი მომცემდა რეკომენდაციას საკმაოდ საპასუხისმგებლო სამუშაოზე კუიბიშევის სამდივნოში. მე უარი არ მითქვამს. 1932 წლის დამდეგს მე გამომიძახეს კუიბიშევთან და რამდენიმე ხნის შემდეგ შევუდექი მუშაობას.

1932 წლის მანძილზე ჩემი კავშირი მემარჯვენეებთან ძლიერდებოდა. გაისტერის საშუალებით მე გავიცანი სხვა მემარჯვენეები—როზენტალი და კრავალი. მე გავეცანი სმირნოვს—სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკს, დეიჩს და სხვებს. შემდეგ გაისტერმა დამაკავშირა ენუქიძესთან.

ენუქიძისაგან გავიგე, რომ მემარჯვენეები მხარს უჭერენ არსებული ხელმძღვანელობის დამხობას იმისთვის, რომ შესცვალონ პოლიტიკა, მიმართონ ქვეყნის განვითარება კაპიტალიზმის რესტავრაციის გზით.

1934 წლის შუა თვეებში, დაახლოებით, აგვისტოს ბოლოს, ენუქიძემ დამირეკა ერთხელ და გამომიძახა სალაპარაკოდ, რასაც შემდეგში ჩემთვის ძლიერ სერიოზული შედეგები ჰქონდა. ამ საუბრის დროს ენუქიძემ მითხრა: თუ წინათ მემარჯვენეებს იმისი იმედი ჰქონდათ, რომ შესაძლებელი იქნება საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ყველაზე უფრო ანტისაბჭოურად განწყობილი ფენების ორგანიზების საშუალებით და, კერძოდ, კულაკობის საშუალებით, ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ეს იმედი დაიმსხვრა და საჭიროა გადავიდეთ ხელისუფლების დაპყრობის უფრო აქტიურ მეთოდებზე. ეს უფრო აქტიური მეთოდები მე აქვე გამიშიფრა: მემარჯვენეთა ცენტრმა, ტროცკისტებთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება მთელი რიგი ტერორისტული აქტების ჩატარების აუცილებლობის შესახებ პოლიტბიუროს წევრების წინააღმდეგ. ეს უნდა იქნას მიღწეული ბელადების ჯანმრთელობისათვის ძირის გამოთხრის მეთოდით.

თქვენ, მითხრა მან, უნდა მიიღოთ მონაწილეობა ტერორისტულ აქტში კუიბიშევის წინააღმდეგ; მზადება ამისათვის უკვე დაწყებულია. ექიმები ლევინი და პლეტნევი შესძლებენ შეასრულონ თავისი საქმე. თქვენგან მოვითხოვთ, ჯერ ერთი, მისცეთ მათ საშუალება და ხელი არ შეუშალოთ იმას, რომ ისინი ხშირად მოვიდნენ ავადმყოფთან, რომ არ ჩაიშალოს მათი ეგრეთწოდებული ვიზიტები ავადმყოფთან; და, მეორე,—მწვავე დაავადების შემთხვევაში, რაიმე შეტევების დროს, ნუ აჩქარდებით ექიმის გამოსაძახებლად, და თუ საჭიროა, მაშინ გამოიძახეთ მხოლოდ ის ექიმები, რომლებიც მათ მკურნალობენ.

აქვე მან მითხრა, რომ ჩვენი თანამონაწილეა იაგოდა და რომ მას აქვს საშუალება ყოველი ჩვენი მომხრის წინააღმდეგ, თუ ის გამცემელი გახდება, მიიღოს ესა თუ ის ზომა, რაც მის განკარგულებაში სავსებით საკმარისია.

მე მას არც ჰო ვუთხარი და არც არა. საუბარი გადაიდო, მაგრამ მალე განახლდა. მალე მან ისევ გამომიძახა თავისას. იქვე იმყოფებოდა იაგოდაც. ისევ ჩამოვარდა ლაპარაკი მხოლოდდამხოლოდ კუიბიშევის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ. მე ამაზე დავთანხმდი. მოვლენები შემდეგ სწრაფი ტემპით გაიშალა. ეგრეთწოდებული მკურნალობის შედეგად კუიბიშევის ჯანმრთელობა სულ უარესდებოდა. დადგა პერიოდი, როდესაც კუიბიშევი ემზადებოდა შუა აზიის მივლინებაში. ენუქიძემ ისევ გამომიძახა და მომთხოვა: შუა აზიაში გამგზავრების დროს, თქვენ უსათუოდ უნდა გამოიძახოთ ექიმი მოსკოვიდან. გაემგზავრება ლევინი.

შუა აზიაში კუიბიშევის ჩასვლის დროს ის ავად გახდა ანგინით, შემდეგ ყელში გაუჩნდა იარა. კუიბიშევმა უარი სთქვა ექიმის გამოძახებაზე მოსკოვიდან და ოპერაცია გაუკეთა ადგილობრივმა ექიმმა ტაშკენტში. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მაგრამ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ კუიბიშევის ჯანმრთელობა გაუარესდა, თავი იჩინეს გართულებებმა შუა აზიაში გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ. მიუხედავად ჯანმრთელობის ასეთი მდგომარეობისა, ექიმებმა, რომლებიც იყვნენ მასთან სამჯერ, მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებლად სცნეს. მე კი მას ვანუგეშებდი, ვეყრდნობოდი რა ექიმების განცხადებას. ბოლოს მოხდა კატასტროფა სწორედ იმ დღეს, როდესაც კუიბიშევი სამუშაოზე იყო. მან ცუდად იგრძნო თავი, ძლიერ გაფითრებული იყო. სახეზე უეჭველი ნიშნები იყო იმისა, რომ ახლოვდება შეტევები. ეს იყო დღის ორ საათზე. ის შინ წავიდა. მე დავურეკე ენუქიძეს და ვუთხარი, რომ კუიბიშევი წავიდა შინ, რომ ის ცუდად ჰგრძნობს თავს. მე ეჭვი არ მქონდა, რომ ეს იყო იმ მკურნალობის შედეგი, რომელიც სწარმოებდა. ენუქიძემ მომთხოვა, რომ არ გამომეჩინა ნერვიულობა და შემესრულებინა ის, რაც საჭიროა, არ ავჩქარებულიყავი ექიმის გამოსაძახებლად. გაიარა 15—20 წუთმა. კუიბიშევი წავიდა ორ საათზე, გარდაიცვალა კი სამის ნახევარზე. შინიდან დარეკეს, რომ კუიბიშევი ცუდად არისო. მე გამოვიძახე ექიმი, მაგრამ, როდესაც ექიმი მოვიდა, კუიბიშევი უკვე მკვდარი იყო, ძლიერ გვიან იყო.

ვიშინსკი: თქვენ ვინ ჩაგითრიათ შეთქმულებაში?

მაქსიმოვ-დიკოვსკი: ენუქიძემ იაგოდასთან ერთად.

ვიშინსკი: ერივნენ თუ არა კუიბიშევის მკვლელობაში ბუხარინი და რიკოვი.

მაქსიმოვ-დიკოვსკი: ენუქიძე ამბობდა, რომ ამ საქმეში მონაწილეობას იღებს ორგანიზებული ცენტრი მემარჯვენე შეთქმულებისა—ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი.

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

მოწმე ექიმ მ. ი. ბელოსტოცკის დაკითხვა

ვიშინსკი: რა იცით თქვენ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის არასწორი მკურნალობის შესახებ და საიდან იცით ეს?

ბელოსტოცკი: კრემლის სამკურნალო-სანიტარულმა სამმართველომ მიმავლინა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისთან, რათა გამეკეთებინა შეშხაპუნება. ალექსი მაქსიმეს-ძის დაავადების თითქმის პირველი დღეებიდანვე მიხდებოდა გამეკეთებინა საკმაოდ დიდძალი შეშხაპუნება და გულის სამკურნალო საშუალებათა ინექციები, როგორც, მაგალითად, დივალენის, კარლიაზოლის, სტროფანტიანი გლუკოზის, გლუკოზის, შემდეგ სტროფანტინისა.

ვიშინსკი: როგორ, თქვენ ეს ნორმალურად მიგაჩნდათ, თუ არა?

ბელოსტოცკი: იყო ერთი ასეთი შემთხვევა — სტროფანტიანი გლუკოზისა და სტროფანტინის შესახებ. მე ვერიდებოდი ამ პრეპარატს. ლიტერატურიდან ვიცოდი, რომ ეს პრეპარატი ძალიან საშიში იყო, რომ ის უნდა იხმარონ ავადმყოფობის განსაკუთრებული გამოხატულების დროს. ნება მივეცი თავს მიმექცია პროფესორ ლევინის ყურადღება — ღირს თუ არა ასეთი პრეპარატი ვიხმარო მეთქი. ლევინმა იმწამსვე შესწყვიტა ამ ინექციის ხმარება.

ვიშინსკი: თქვენ არასწორად მიგაჩნდათ ამ საშუალების ხმარება?

ბელოსტოცკი: მე მაშინ მიმაჩნდა, რომ ეს არ იყო სავსებით სწორი.

ვიშინსკი: რა გსურთ მოახსენოთ კიდევ სასამართლოს?

ბელოსტოცკი: მე მაგონდება, რომ ძალიან ბევრი შეუშხაპუნეს გულის სამკურნალოდ. მე მინდა მივაქციო ყურადღება იმ გარემოებას, რომ მორიგი შინაგანი შეშხაპუნების მომზადების დროს ჩემთან მოვიდა პროფესორი პლეტნევი და ყურში ჩამიჩურჩულა: „რატომ სჩადიხართ თქვენ ამას? ავადმყოფის ასეთი მდგომარეობის დროს უნდა აცალოთ მას დამშვიდებით მოკვდეს“.

ვიშინსკი: არ გადავარჩინოთ?

ბელოსტოცკი: არ გადავარჩინოთო.

ვიშინსკი: მე მეტი კითხვა არა მაქვს.

თავმჯდომარე ულრიხი: სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. ბურმინს.

პროფ. ბურმინი (კითხულობს):

სამედიცინო ექსპერტიზის პასუხები სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასმულ კითხვებზე

1. ა. მ. გორკის მოკვლის გამო

კითხვა: — დასაშვებია თუ არა, რომ მკვეთრად გამოხატულ პნევმოსკლეროზიან ავადმყოფს, რომელსაც აქვს ბრონქოექტაზები და კავერნები, ფილტვების ემფიზემა და გულის სისხლძარღვთა სისტემის გადაგვარება, რომელიც დაავადებულია მძიმე პერიოდული სისხლის ღებინებით, დაენიშნოს ხანგრძლივი სეირნობის რეჟიმი სადილის შემდეგ, განსაკუთრებით მომქანცავ შრომასთან შეთავსებით.

შეეძლო თუ არა ასეთ რეჟიმს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტარდებოდა, გამოეწვია ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და, კერძოდ, გულის სისხლძარღვთა სისტემისა?

პასუხი: — ასეთი რეჟიმი უეჭველად დაუშვებელია და მას შეეძლო გამოეწვია ავადმყოფის ჯანმრთელობის გაუარესება და, კერძოდ, გულის სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გაუარესება.

კითხვა: — დასაშვებია თუ არა, რომ მსგავსი ავადმყოფი მოთავსდეს ისეთ ბინაში, სადაც წინასწარ იცოდნენ, რომ გრიპიანი ავადმყოფები იყვნენ მოთავსებული?

პასუხი: — აბსოლუტურად დაუშვებელია, ვინაიდან ამით უზრუნველყოფილია ამ ავადმყოფის დაავადება გრიპით.

კითხვა: — სწორი იყო თუ არა ავადმყოფის მკურნალობა, სწორად იწერებოდა თუ არა ა. მ. გორკის ავადმყოფობის ისტორია და სწორად ტარდებოდა თუ არა მისი მკურნალობა უკანასკნელი დაავადების დროს 1936 წლის 31 მაისიდან 18 ივნისამდე?

პასუხი: — ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის კონსტატაციამ საკმაო გამოხატულება ჰპოვა ავადმყოფის ისტორიაში, ჩატარებული მკურნალობა კი რეგისტრირებულია დანაშაულებრივი დაუდევრობით.

კითხვა: — დასაშვებია თუ არა საერთოდ, რომ გულის სამკურნალო საშუალებანი, სახელდობრ დიგიტალისი, დიგალენი („დიგიტალის ლუტეას“ პრეპარატები), სტროფანტინი და სტროფანტი ხანგრძლივად და ერთდროულად შეუშხაპუნონ ვენასა და კანში და დაალევინონ დიდი დოზით, კერძოდ კი შეიძლებოდა თუ არა გამოეყენებინათ ეს მძიმე ავადმყოფის, 68 წლის ა. მ. გორკის მიმართ, რომელიც დაავადებული იყო შინაგან ორგანოთა ზემოაღნიშნული დაზიანებით?

პასუხი: — აბსოლუტურად დაუშვებელია.

კითხვა: — როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი მკურნალობის შედეგები ა. მ. გორკისათვის მისი უკანასკნელი დაავადების დროს?

პასუხი: — მკურნალობის ასეთ მეთოდს საერთოდ უნდა გამოეწვია გულის კუნთის დაუძლურება, ხოლო ამ შემთხვევაში — მას შეეძლო გამოეწვია სიკვდილი.

კითხვა: — შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ საკმაო კვალიფიკაციის ექიმებს შეეძლოთ გამოეყენებინათ მკურნალობის ასეთი არასწორი მეთოდი, თუ მათ ბოროტი განზრახვა არ ჰქონდათ?

პასუხი: — ამის დაშვება არ შეიძლება.

კითხვა: — შეიძლება თუ არა მთელი ამ მასალის საფუძველზე დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ა. მ. გორკის მკურნალობის მეთოდი განზრახ მავნებლური იყო, მიმართული მისი სიკვდილის დაჩქარებისაკენ, ამ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად იმ სპეციალური ცოდნის გამოყენებით, რაც ბრალდებულ ლევინისა და პლეტნევის განკარგულებაში მოიპოებოდა.

პასუხი: — დიაღ, უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად.

2. ვ. ვ. კუიბიშევის მოკვლის გამო

კითხვა: — დასაშვები იყო თუ არა, რომ ავადმყოფ ვ. ვ. კუიბიშევისათვის, რომელიც დაავადებული იყო გულის ანგინის შეტევებით და მთელ ორგანიზმს მოდებული არტერიოსკლეროზით, დაენიშნათ დიგიტალისის („დიგიტალის ლუტეა“) დიდი დოზების ხანგრძლივი მიღება?

პასუხი: — არა, არ იყო დასაშვები.

კითხვა: — შეიძლებოდა თუ არა დიგიტალისის დიდი დოზების მიღებას ხანგრძლივი ვადის (რამდენიმე თვის) განმავლობაში ხელი შეეწყო გულის ანგინის შეტევების გახშირებისათვის?

პასუხი: — დიაღ, შეიძლებოდა ხელი შეეწყო გულის ანგინის შეტევების გახშირებისათვის.

კითხვა: — დასაშვებია თუ არა გულის ანგინის შეტევის მდგომარეობაში მოძრაობისა და კიბეზე ასვლის ნება დაერთოს ავადმყოფს და შეიძლება თუ არა გულის ანგინის შეტევით ავადმყოფი დატოვებულ იქნას დაუყოვნებლივი საექიმო დახმარების აღმოუჩენლად?

პასუხი: — აბსოლუტურად დაუშვებელი და დანაშაულებრივია, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო ამ შემთხვევაში კიდეც გამოიწვია, სიკვდილი.

კითხვა: — შეიძლება თუ არა ყველა ამ მონაცემის საფუძველზე დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ვ. ვ. კუიბიშევის მკურნალობის მეთოდი იყო აშკარა მავნებლური, მიმართული მისი სიკვდილის დაჩქარებისაკენ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა როგორც სპეციალური ცოდნა, რომელიც ბრალდებულთ ჰქონდათ, ისე გულის ანგინის მორიგი შეტევის დროს ვ. ვ. კუიბიშევის საექიმო დახმარების გარეშე განზრახ დატოვების მეთოდიც?

პასუხი: — დიაღ, უთუოდ შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს.

3. ვ. რ. მენჟინსკის მოკვლის გამო.

კითხვა: — დასაშვები იყო თუ არა, რომ ავადმყოფ ვ. რ. მენჟინსკის, რომელიც დაავადებული იყო არტერიოსკლეროზით, გულის ანგინის მძიმე შეტევებით, და რომელსაც ჰქონდა მიოკარდის ინფარქტი, ხანგრძლივად მკურნალობდნენ დიგიტალისის პრეპარატებით, განსაკუთრებით ლიზატებთან შეხამებით, რომლებსაც შეეძლოთ გაეძლიერებინათ დიგიტალისის პრეპარატთა მოქმედება?

პასუხი: — არა, უთუოდ დაუშვებელი და დანაშაულებრივი იყო.

კითხვა: — შეიძლებოდა თუ არა მკურნალობის ასეთი მეთოდის გამოყენებას ხელი შეეწყო გულის კუნთის დაუძლურებისათვის და ამით ხელი შეეწყო სასიკვდილო შედეგისათვის?

პასუხი: — დიაღ, უთუოდ შეეძლო.

კითხვა: — შეიძლება თუ არა ყველა ამ მონაცემის საფუძველზე დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ბრალდებულნი ლ. გ. ლევინი და ი. ნ. კაზაკოვი მიმართავდნენ ამხ. მენჟინსკის მკურნალობის აშკარად მავნებლურ მეთოდებს, დანაშაულებრივ მიზნად დაისახეს რა მისი რაც შეიძლება მალე მოკვლა, რასაც კიდეც მიაღწიეს მათი დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად?

პასუხი: — დიაღ, უთუოდ შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს.

4. მ. ა. პეშკოვის მოკვლის გამო.

კითხვა: — სწორად სწარმოებდა თუ არა ფილტვების კრუპოზული ანთებით დაავადებული მ. ა. პეშკოვის მკურნალობა, როგორც ეს გადმოცემულია ბრალდებულ ლევინის ჩვენებებში?

პასუხი: — მ. ა. პეშკოვის მკურნალობა, როგორც ეს გადმოცემულია ბრალდებულ ლევინის ჩვენებებში, სწარმოებდა არასწორად და დანაშაულებრივად:

1) არ გამოუყენებიათ სამკურნალო ანტიპნევმოკოკური შრატი, რომელიც, ბრალდებულ ლევინისავე აღიარებით, შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო ავადმყოფის მკურნალობის დროს; 2) შეუწყნარებლად დიდი დოზებით უნიშნავდნენ ნარკოტიკებს — მორფის და პანტოპონს; 3) არ ხმარობდნენ გულის სამკურნალო საშუალებებს.

კითხვა: — შეიძლებოდა თუ არა მკურნალობის ასეთ არასწორ მეთოდს, რომელსაც ბრალდებული ლევინი ატარებდა, ხელი შეეწყო ავადმყოფობის სასიკვდილო შედეგებისათვის?

პასუხი: — ასეთი მკურნალობა არა თუ ხელს არ უწყობდა ორგანიზმს ავადმყოფობასთან ბრძოლაში, არამედ, პირიქით, აუარესებდა ავადმყოფის მდგომარეობას.

კითხვა: — შეიძლება თუ არა დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ბრალდებული ლევინი, რომელმაც თავის დანაშაულებრივ მიზნად დაისახა მ. ა. პეშკოვის სიკვდილის დაჩქარება, მიმართავდა აშკარა მავნებლურ მკურნალობას თავისი დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად?

პასუხი: — დიაღ, უთუოდ შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — პროფესორი დ. ა. ბურმინი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — პროფესორი ნ. ა. შერეშევსკი.
პროფესორი ვ. ნ. ვინოგრადოვი.
პროფესორი დ. მ. როსიისკი.
სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი ვ. დ. ზიპალოვი.
მოსკოვი, 1938 წლის 9 მარტი.

5. ამხანაგ ნ. ი. ეჟოვის მოწამვლის გამო

შეკითხვა: — შეიძლება თუ არა ექსპერტიზისათვის ამხ. ნ. ი. ეჟოვის მოწამვლის მოწყობის წარდგენილი მასალების საფუძველზე მივიდეთ დასკვნამდე, რომ ბრალდებულებმა გ. გ. იაგოდამ და პ. პ. ბულანოვმა გამოიყენეს თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად უაღრესად საშიში და უაღრესად ქმედი საშუალებანი ამხ. ნ. ი. ეჟოვის თანდათანობითი მოწამვლისათვის?

პასუხი: — წარმოდგენილი მასალების საფუძველზე: ხალიჩის ქიმიური ანალიზის, გარდინების, ავეჯზე გადაკრული ქსოვილებისა და ამხ. ნ. ი. ეჟოვის სამუშაო კაბინეტის ჰაერის ქიმიური ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე მისი შარდისა და მის ორგანიზმში დაწყებული ტკივილების ხასიათის ანალიზთა საფუძველზე აბსოლუტურად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ორგანიზებული და შესრულებული იყო ამხანაგ ნ. ი. ეჟოვის მოწამლვა ვერცხლისწყლით სასუნთქი მილების საშუალებით, რაც ვერცხლისწყლით ქრონიკული მოწამლვის ყველაზე ქმედი და საშიში მეთოდი იყო.

შეკითხვა: — შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დადასტურებულად, რომ ბრალდებულების გ. გ. იაგოდას და პ. პ. ბულანოვის მიერ ნ. ი. ეჟოვის მოსაწამლავად გამოყენებულ საშუალებათა შედეგად მის ჯანმრთელობას მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი და, რომ ეს ბოროტება თავის დროზე არ ყოფილიყო გამომჟღავნებული, მაშინ ამხ. ნ. ი. ეჟოვის სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ემუქრებოდა?

პასუხი: დიაღ. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბრალდებულების გ. გ. იაგოდას და პ. პ. ბულანოვის მიერ ამხ. ნ. ი. ეჟოვის თანდათანობით მოწამლვის მიზნით გამოყენებულ საშუალებათა შედეგად მის ჯანმრთელობას მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი და, რომ ეს ბოროტმოქმედება თავის დროზე არ ყოფილიყო გამომჟღავნებული, მაშინ ამხ. ნ. ი. ეჟოვის სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ემუქრებოდა.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — პროფესორი დ. ა. ბურმინი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — პროფესორი ნ. ა. შერეშევსკი.
პროფესორი — ვ. ნ. ვინოგრადოვი.
პროფესორი დ. მ. როსიისკი.
სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი — ვ. დ. ზიპალოვი.

თავმჯდომარე ულრიხი: ამხანაგო პროკურორო, თქვენ გაქვთ შეკითხვა ექსპერტიზისათვის?

ვიშინსკი: მხოლოდ ერთი—არის თუ არა პასუხები ამ შეკითხვებზე ერთსულოვანი აზრი მთელი ექსპერტიზისა, თუ რომელიმე ექსპერტთაგანს აქვს განსაკუთრებული თვალსაზრისი?

პროფესორი ბურმინი: ერთსულოვანია.

თავმჯდომარე: არის კიდევ რამე დამატება, შეკითხვები?

ვიშინსკი: ექსპერტიზისათვის მე არა მაქვს შეკითხვები, მაქვს შეკითხვები ცალკე ბრალდებულების მიმართ.

თავმჯდომარე ულრიხი: ინებეთ.

ვიშინსკი: ბრალდებულო როზენგოლც, როგორც აქტებიდან სჩანს, რომლებიც № 6 ტომში საქმის მე-37 ფურცელზეა მოთავსებული, როზენგოლცის დაპატიმრების დროს შარვლის უკანა ჯიბეში მას აღმოუჩინეს ქსოვილში გამოკერილი გამხმარი პურის პატარა ნატეხი, შეხვეული გაზეთის ნახევში, და პურის ამ ნატეხში ფურცელი ხელით დაწერილი ჩანაწერით, რაც გარჩევისას აღმოჩნდა, რომ ეს არის ლოცვის ტექსტი. მე მინდა ვთხოვო სასამართლოს ნებართვა და გამოვაქვეყნო ზოგიერთი ადგილი ამ ეგრეთწოდებული ლოცვების ტექსტისა და ვთხოვო ბრალდებულ როზენგოლცს მოგვცეს თავისი განმარტება ამის გამო.

ტექსტი წარმოადგენს ფსალმუნს, რომელიც იწყება ასე: „აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და უკუქცეულ იქნენ პირისაგან მისისა ყოველნი მოძულენი მისნი, ვითარცა ჰქრების კომლი და ვითარცა დნების ცვილი წინაშე ცეცხლისა, ესრედ წარწყმდეს ეშმაკნი პირისაგან მოყვარულთა ღვთისათა“ და ა. შ.

როზენგოლცი: ერთხელ ეს პატარა შეკვრა, სამსახურში წასვლის წინ, ცოლმა ჩამიდო ჯიბეში. მან მითხრა, რომ ეს ბედისთვის არისო.

ვიშინსკი: როდის იყო ეს საქმე?

როზენგოლცი: რამდენიმე თვით ადრე დაპატიმრებამდე.

ვიშინსკი: და თქვენ რამდენიმე თვეს ატარებდით „ამ ბედს“ უკანა ჯიბეში?

როზენგოლცი: მე არც კი ვაქცევდი მას ყურადღებას.

ვიშინსკი: თქვენ მაინც ხედავდით ხომ, თუ რას აკეთებდა თქვენი მეუღლე?

როზენგოლცი: მე ვიჩქაროდი.

ვიშინსკი: მაგრამ თქვენ გითხრეს, რომ ეს ოჯახური თილისმაა ბედისთო?

როზენგოლცი: დაახლოებით ამნაირად.

ვიშინსკი: და თქვენ დასთანხმდით ამ თილისმის შემნახველი გამხდარიყავით? მე მეტი შეკითხვები არა მაქვს.

თავმჯდომარე ულრიხი: ერთი საათის შესვენების შემდეგ სასამართლოს სხდომა იწარმოებს დახურულ კარებში. (საკდესი).

აღვგავოთ პირისაგან მიწისა სამშობლოს მოღალატენი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო — ამხ. ვიშინსკის.

ძვირფასო ანდრია იანუარის-ძევ!

ჩვენ, ოჯახის წევრები დაღუპულთა და დაზარალებულთა იმ აფეთქებისაგან, რომელიც ტროცკისტულმა ბანდამ მოაწყო კემეროვოს და ცენტრალურ მაღაროში 1936 წლის სექტემბერს, შევიტყეთ რა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ კონტრრევოლუციური ბანდის — ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას და სხვა ფაშისტ ჯაშუშების, დაქირავებულების, გამცემლებისა და ტერორისტების პროცესის შესახებ, ღრმად ვართ აღშფოთებული ამ არამზადების საზიზღარი გამცემლური მოქმედებებით.

ბილწი ბოროტმოქმედნი — ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და სხვა ბანდიტები დამნაშავენი არიან ჩვენი ქმრებისა და მამების დაღუპვაში. დამნაშავენი არიან ჩვენს ინვალიდობაში.

ჩვენ გთხოვთ, ანდრია იანუარის-ძევ, მხედველობაში მიიღოთ ეს თქვენი სიტყვის დროს სასამართლოში და მოითხოვოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან უკლებლივ ყველა ამ ბანდიტების დახვრეტა. მათზეა ჩვენი ქმრების სისხლი. აღვგავოთ პირისაგან მიწისა სამშობლოს გამცემელნი.

ნემიხინა, მაქსიმენკო, სუბოტინა, იულიევა, ვდოვინა, ლაპინა, დრუჟინინა, უსიკოვი, ჩაპიგინი, ბოროვკოვი და სხვები.

კემეროვო, 10 მარტი.
(საკდესი).

არავითარი დანდობა სამშობლოს გამყიდველებს

დიადი საბჭოთა ქვეყნის 170-მილიონიანმა ბედნიერმა მშრომელმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეჰქმნა მსოფლიოში ჯერარნახული სამური, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება.

ფაშისტთა ქოფაკებმა, სამშობლოს გამყიდველთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შეთქმულებმა — ბუხარინმა, იაგოდამ და სხვა მისთანა არამზადებმა, რომელთაც დაჰკარგეს ადამიანის ყოველგვარი ღირსება, მოინდომეს სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ გულში ჩვენი მშვენიერი აყვავებული სამშობლოსათვის.

ამ მკვლელების, ქოფაკი ძაღლების, ფაშიზმის დაქირავებული აგენტების და ადამიანის სისხლით მოვაჭრეთა ავაზაკური მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ მშრომელი ხალხის უსაყვარლესი შვილები — კიროვი, კუიბიშევი, მენჟინსკი, მაქსიმ გორკი. ბანდიტები ამზადებდნენ ტერორს მშრომელი ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემომქმედის, დიდი სტალინის და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ ჩვენმა სახელოვანმა შინსახკომმა ამხანაგ ეჟოვის ხელმძღვანელობით გამოამჟღავნა და გაანადგურა ფაშისტი არამზადების ეს ბანდა, მოწმობს ჩვენი ხალხის ერთიანობას, მის უძლეველობასა და სიმტკიცეს.

ჩვენ, საქართველოს სასცენო ხელოვნების მუშაკები, ვუერთებთ რა ჩვენს ხმას საბჭოთა ხალხის მილიონების ხმას, ვთხოვთ სასამართლოს:

არავითარი დანდობა სამშობლოს გამყიდველებს, იუდა ტროცკის ლაქიებს, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებს. სიკვდილი მათ.

გაუმარჯოს ხალხთა ბედნიერი ცხოვრების მესაჭეს დიდ **სტალინს!**

გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი შინსახკომის არმიას, რომელიც მედგრად იცავდა და დაიცავს ჩვენი ქვეყნის ხელშეუხებლობასა და ხალხთა ბედნიერ ცხოვრებას!

ალ. წუწუნავა (რესპ. სახ. არტისტი, ორდენოსანი), **აკ. ხორავა** (სსრ კავშირის სახალხო არტისტი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი), **აკ. ვასაძე** (სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი), **ნ. გოცირიძე** (რესპ. სახ. არტისტი, ორდენოსანი), **შ. ღამბაშიძე** (რესპუბლიკის დამს. არტისტი), **ვ. ანჯაფარიძე** (რესპ. დამსახურებული არტისტი), **სანდრო ჟორჟოლიანი** (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი), **დოდო ანთაძე** (რესპუბლიკის დამს. არტისტი).

მოვსპოთ შხამიანი გველები

მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან ერთად ღრმა აღშფოთებას გამოვთქვამთ პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების, მახინჯი ქვეწარმავლების, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილე ბანდიტების საზიზღარი და შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების გამო.

ბნელეთის ეს მოციქულები ცდილობდნენ წაერთმიათ თავისუფლება ჩვენი მუშებისა და გლეხებისათვის, დაენგრიათ კოლმეურნეთა ბედნიერი ცხოვრება და დაებრუნებინათ მათი მიწები ყოფილი მემამულეებისათვის. ამ ავაზაკებს უნდოდათ საბჭოთა კავშირის ნაკუწნაკუწად დაგლეჯა და მისი გადაქცევა იმპერიალისტების სათარეშოდ, მათ უნდოდათ აყვავებული სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განადგურება.

შხამიანი გველები ვერ ითმენდნენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ წინსვლას. მისი მიღწევები მათს გაცოფებას იწვევდა. ბინძურმა გარეწრებმა სიცოცხლე მოუსპეს ლენინ-სტალინის პარტიის საუკეთესო შვილს ს. მ. კიროვს. ამ ნაძირალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს საბჭოთა ხალხის საყვარელი ადამიანები— ვ. კუიბიშევი, მენჟინსკი და სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების დიდი მეგობარი და უდიდესი მზრუნველი მაქსიმ გორკი.

ჩვენ, საბჭოთა კინო-ხელოვნების მუშაკები, ზიზღს ვუცხადებთ რა საზიზღარ ქვეწარმავალ ბანდიტებს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისაგან მოვითხოვთ ფაშიზმის ამ აგენტების, სამშობლოსი და მთელი მშრომელი ხალხის მოღალატეების ფიზიკურად განადგურებას.

მიხ. ჭიაურელი (სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი, რეჟისორი), **ნ. შენგელაია** (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი), **ნ. ვაჩნაძე** (რესპ. დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი), რეჟისორები: **ს. დოლიძე, ლ. ესაკია, გ. მაკაროვი,** ოპერატორები: **ალ. დიღმელოვი, დ. კანდელაკი,** მსახიობები: **ა. თოიძე, ს. ბალაშვილი,**

ქალაქის კომენდანტისაგან

13 მარტს მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

12 მარტს 11-დან 18 საათამდე ჩათვლით და 13 მარტს 16-დან 19 საათამდე ჩათვლით ქ. თბილისში მოხდება ელექტროსაყვირთა გამოცდა.

ამ გამოცდის დროს საყვირთა ხმები არ უნდა იქნეს გაგებული როგორც სიგნალი „საჰაერო განგაშისა“ და „საჰაერო განგაშის შეწყვეტისა“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ ეფრემის-ძე ღუნგაძეს, ვალერიან ნიკოლოზის-ძე სიხარულიძეს და გიორგი ბესარიონის-ძე ჯიოევს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0708594, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ფორე მათეს-ძე ცისკარიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1510359, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ისაკ ივანეს-ძე წიკლაურის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532009, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ 1936 წლის 24 ივლისს გალაქტიონ დომენტის-ძე ვაშალომიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502690, გაცემული ამბარცუმ ავეტისის-ძე შარახანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0708103, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მიერ გიორგი კოზმას-ძე ბუთლიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0718174, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მიერ რომან იოსების-ძე შენგელიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1457